

# საქართველოს კანონი

## ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის შესახებ

### თავი I

#### ზოგადი დებულებანი

#### მუხლი 1. კანონის რეგულირების სფერო

1. ეს კანონი ადგენს საერთაშორისოდ აღიარებული სტანდარტების შესაბამისად საქართველოში ბუღალტრული აღრიცხვის წარმოების, ფინანსური ანგარიშგების, მმართველობის ანგარიშგების და ამ კანონით გათვალისწინებული სახელმწიფოს მიმართ განხორციელებული გადახდების შესახებ ანგარიშგების მომზადებისა და წარდგენის, პროფესიული სერტიფიცირების, აუდიტორული საქმიანობის (მომსახურების) განხორციელების და მისი ხარისხის უზრუნველყოფის, აღნიშნულ სფეროებზე სახელმწიფო ზედამხედველობის განხორციელების და პასუხისმგებლობის დაკისრების სამართლებრივ საფუძვლებს.

2. ამ კანონის მიზანია ფინანსური გამჭვირვალობისა და ეკონომიკური ზრდის ხელშეწყობა სუბიექტთა ანგარიშგებისა და აუდიტის მარეგულირებელი შესაბამისი ევროკავშირის დირექტივების მოთხოვნებთან მიახლოებით.

3. ამ კანონის მოქმედება არ ვრცელდება [საქართველოს საბიუჯეტო კოდექსით](#) განსაზღვრულ საბიუჯეტო ორგანიზაციაზე, გარდა საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებული შემთხვევებისა.

#### მუხლი 2. ტერმინთა განმარტება

1. ამ კანონის მიზნებისთვის მასში გამოყენებულ ტერმინებს აქვს შემდეგი მნიშვნელობა:

ა) ბუღალტრული აღრიცხვა – სუბიექტის საქმიანობასა და რესურსებზე გავლენის მომხდენი, ფულად ერთეულში შეფასებადი ეკონომიკური მოვლენების ამსახველი ინფორმაციის შეგროვების, რეგისტრაციის, შეფასების, განზოგადების და შესაბამისი ანგარიშგების მწყობრი და უწყვეტი სისტემა;

ბ) ბუღალტერი – ფიზიკური პირი, რომელიც უშუალოდ აწარმოებს ბუღალტრულ აღრიცხვას ან/და ამზადებს ფინანსურ ანგარიშგებას;

ბ<sup>1</sup>) პროფესიული მომსახურების გამწევი ბუღალტერი – ბუღალტერი, რომელიც რეგისტრირებულია ბუღალტრების სახელმწიფო რეესტრში და მომსახურების დამკვეთისთვის ახორციელებს ბუღალტრული აღრიცხვის წარმოების ან/და ფინანსური ანგარიშგების მომზადების მომსახურებას;

ბ<sup>2</sup>) საბუღალტრო ფირმა – საქართველოში რეგისტრირებული იურიდიული პირი ან სხვა ქვეყანაში რეგისტრირებული იურიდიული პირის საქართველოში არსებული ფილიალი, რომელიც რეგისტრირებულია საბუღალტრო ფირმების სახელმწიფო რეესტრში და მომსახურების დამკვეთისთვის ახორციელებს ბუღალტრული აღრიცხვის წარმოების ან/და ფინანსური ანგარიშგების მომზადების მომსახურებას;

გ) ბუღალტრული აღრიცხვის დოკუმენტები – ეკონომიკური მოვლენების დამადასტურებელი პირველადი აღრიცხვის დოკუმენტები და მაგროვებელი დოკუმენტები;

დ) ფინანსური ანგარიშგება – გასული საანგარიშგებო პერიოდის ფინანსური ინფორმაცია, რომელშიც წარდგენის შესაფერისი საფუძვლების შესაბამისად სტრუქტურულად არის მოცემული სუბიექტის ფინანსური მდგომარეობა, საქმიანობის შედეგები, ფულადი სახსრებისა და კაპიტალის მოძრაობა,



სააღრიცხვო პოლიტიკა და განმარტებითი შენიშვნები;

ე) სუბიექტი – საჯარო სამართლის და კერძო სამართლის იურიდიული პირები, გარდა [საქართველოს საბიუჯეტო კოდექსით](#) განსაზღვრული საბიუჯეტო ორგანიზაციისა და საქართველოს ეროვნული ბანკისა, სხვა ქვეყნის საწარმოს ფილიალი, ინდივიდუალური მეწარმე, თუ ისინი აკმაყოფილებენ ამ პუნქტის „უ“-„ქ“ ქვეპუნქტებით გათვალისწინებულ საწარმოთა შემოსავლის, ეკონომიკურ საქმიანობაში გამოყენებული აქტივების და დასაქმებულთა რაოდენობის კრიტერიუმებს;

ვ) აუდიტორული საქმიანობა (მომსახურება) – აუდიტორის/აუდიტორული (აუდიტური) ფირმის მიერ შესაბამისი საერთაშორისო სტანდარტების საფუძველზე ჩატარებული სამუშაო, რომელიც მიმართულია:

ვ.ა) აუდიტის საფუძველზე ფინანსური ანგარიშგების (მათ შორის, სპეციალური დანიშნულების ფინანსური ანგარიშგების) უტყუარობის, სამართლიანობისა და სისრულის, ყველა არსებითი ასპექტის გათვალისწინებით მისი წარდგენის შესაფერისი საფუძვლების შესაბამისად მომზადების შესახებ აუდიტორის/აუდიტორული (აუდიტური) ფირმის მოსაზრების გამოთქმისკენ;

ვ.ბ) ფინანსური ანგარიშგების მიმოხილვით აუდიტორის/აუდიტორული (აუდიტური) ფირმის დასკვნის გამოტანისკენ;

ვ.გ) სხვა დასაბუთებული ან/და შეზღუდული მარწმუნებელი გარიგების საფუძველზე შესაბამისი მოსაზრების გამოთქმისკენ ან დასკვნის გამოტანისკენ;

ვ.დ) ამ კანონის მე-14 მუხლის მე-2 პუნქტით გათვალისწინებული სხვა მიზნების განხორციელებისკენ;

ზ) აუდიტორი – სერტიფიცირებული ბუღალტერი, რომელიც არის ბუღალტერთა ან/და აუდიტორთა პროფესიული ორგანიზაციის წევრი, რეგისტრირებულია აუდიტორების/აუდიტორული (აუდიტური) ფირმების სახელმწიფო რეესტრში (შემდგომ – რეესტრი) და უფლებამოსილია განახორციელოს აუდიტორული საქმიანობა (მომსახურება), მათ შორის, ინდივიდუალურად;

თ) აუდიტორული (აუდიტური) ფირმა (შემდგომ – აუდიტორული ფირმა) – საქართველოში რეგისტრირებული იურიდიული პირი ან სხვა ქვეყანაში რეგისტრირებული იურიდიული პირის ფილიალი საქართველოში, რომელიც რეგისტრირებულია რეესტრში და აუდიტორულ საქმიანობას (მომსახურებას) ახორციელებს გარიგების პარტნიორის (პარტნიორების) მემვეობით;

ი) ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის ზედამხედველობის სამსახური (შემდგომ – სამსახური) – საქართველოს ფინანსთა სამინისტროს (შემდგომ – სამინისტრო) სისტემაში შემავალი სახელმწიფო საქვეუწყებო დაწესებულება;

კ) პროფესიული მომსახურება – მომსახურება, რომელსაც ახორციელებს აუდიტორი/აუდიტორული ფირმა საბუღალტრო, აუდიტორულ, საგადასახადო, ფინანსური მენეჯმენტის ან/და სხვა, მსგავს ბიზნესსაკონსულტაციო სფეროში და რომელიც ბუღალტრულ და მასთან დაკავშირებულ უნარებს მოითხოვს;

ლ) სერტიფიცირებული ბუღალტერი – ფიზიკური პირი, რომელიც სამსახურის მიერ დადგენილი პროფესიული სერტიფიცირების სტანდარტის შესაბამისად სერტიფიცირებულია ბუღალტერთა ან/და აუდიტორთა პროფესიული ორგანიზაციის მიერ ან სერტიფიცირებულ ბუღალტრად აღიარებულია ამ კანონით და რომელიც სერტიფიცირების შემდეგ თავის კვალიფიკაციას განგრძობითი განათლების სტანდარტის შესაბამისად ადასტურებს;

მ) გარიგების პარტნიორი – აუდიტორი, რომელიც აუდიტორულმა ფირმამ კონკრეტული აუდიტის ჩატარებისათვის ან სხვა აუდიტორული საქმიანობის (მომსახურების) განხორციელებისათვის მთავარ პასუხისმგებელ პირად დანიშნა და რომელიც აუდიტორული ფირმის სახელით მოქმედებს, ან აუდიტორი, რომელიც ხელს აწერს აუდიტორულ დასკვნას ან სხვა აუდიტორული საქმიანობის (მომსახურების) განხორციელების შედეგად შემუშავებულ დოკუმენტს;

ნ) აუდიტორული დასკვნა – აუდიტორის/აუდიტორული ფირმის მიერ გაცემული დოკუმენტი,



რომელშიც აუდიტორი/აუდიტორული ფირმა გამოთქვამს მოსაზრებას იმის შესახებ, თუ რამდენად არის ფინანსური ანგარიშგება მომზადებული ყველა არსებითი ასპექტის გათვალისწინებით, წარდგენის შესაფერისი საფუძვლების შესაბამისად, ან უარს განაცხადებს მოსაზრების გამოთქმაზე;

ო) წარდგენის შესაფერისი საფუძვლები – ფინანსური ანგარიშგების მომზადებისა და წარდგენის საფუძვლები, რომელთა გამოყენება სუბიექტისათვის სავალდებულოა ან ნებადართულია საქართველოს კანონმდებლობისა და საერთაშორისო კანონმდებლობის შესაბამისად;

პ) მარწმუნებელი გარიგება – გარიგება, რომლის განხორციელების შედეგად აუდიტორი/აუდიტორული ფირმა განსახილველი საგნისადმი მესამე პირის ნდობის ხარისხის ასამაღლებლად გამოთქვამს მოსაზრებას ამ საგნის შეფასების ან/და გაზომვის შედეგის სათანადო კრიტერიუმებთან შესაბამისობის შესახებ;

ჟ) ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის საბჭო (შემდგომ – საბჭო) – სამსახურთან არსებული, ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტთან დაკავშირებული საკითხების განმხილველი და შესაბამისი გადაწყვეტილებების მიმღები ორგანო;

რ) ბუღალტერთა ან/და აუდიტორთა პროფესიული ორგანიზაცია (შემდგომ – პროფესიული ორგანიზაცია) – ბუღალტერთა ან/და აუდიტორთა პროფესიული ორგანიზაცია, რომელიც საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად რეგისტრირებულია არასამეწარმეო (არაკომერციულ) იურიდიულ პირად და აკმაყოფილებს ამ კანონით დადგენილ მოთხოვნებს;

ს) სპეციალიზებული გამოცდების განმახორციელებელი ორგანო – იურიდიული პირი, სხვა ქვეყანაში რეგისტრირებული იურიდიული პირის ფილიალი საქართველოში, რომლებიც ამ კანონის მიზნებისათვის სამსახურის მიერ აღიარებულია პირთათვის სერტიფიცირებული ბუღალტრის გამოცდების ორგანიზების განმახორციელებელ ორგანოდ;

ტ) მეოთხე კატეგორიის საწარმო – სუბიექტი, რომლის მაჩვენებლები საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს შემდეგი სამი კრიტერიუმიდან სულ მცირე ორ კრიტერიუმს აკმაყოფილებს:

ტ.ა) აქტივების ჯამური ღირებულება 1 მილიონ ლარს არ აღემატება;

ტ.ბ) შემოსავალი 2 მილიონ ლარს არ აღემატება;

ტ.გ) საანგარიშგებო პერიოდში დასაქმებულთა საშუალო რაოდენობა 10-ს არ აღემატება;

უ) მესამე კატეგორიის საწარმო – სუბიექტი, რომელიც არ არის მეოთხე კატეგორიის საწარმო და რომლის მაჩვენებლები საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს შემდეგი სამი კრიტერიუმიდან სულ მცირე ორ კრიტერიუმს აკმაყოფილებს:

უ.ა) აქტივების ჯამური ღირებულება 10 მილიონ ლარს არ აღემატება;

უ.ბ) შემოსავალი 20 მილიონ ლარს არ აღემატება;

უ.გ) საანგარიშგებო პერიოდში დასაქმებულთა საშუალო რაოდენობა 50-ს არ აღემატება;

ფ) მეორე კატეგორიის საწარმო – სუბიექტი, რომელიც არ არის მესამე ან მეოთხე კატეგორიის საწარმო და რომლის მაჩვენებლები საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს შემდეგი სამი კრიტერიუმიდან სულ მცირე ორ კრიტერიუმს აკმაყოფილებს:

ფ.ა) აქტივების ჯამური ღირებულება 50 მილიონ ლარს არ აღემატება;

ფ.ბ) შემოსავალი 100 მილიონ ლარს არ აღემატება;

ფ.გ) საანგარიშგებო პერიოდში დასაქმებულთა საშუალო რაოდენობა 250-ს არ აღემატება;

ქ) პირველი კატეგორიის საწარმო – სუბიექტი, რომლის მაჩვენებლები საანგარიშგებო პერიოდის



ბოლოს შემდეგი სამი კრიტერიუმიდან სულ მცირე ორ კრიტერიუმს აკმაყოფილებს:

ქ.ა) აქტივების ჯამური ღირებულება 50 მილიონ ლარს აღემატება;

ქ.ბ) შემოსავალი 100 მილიონ ლარს აღემატება;

ქ.გ) საანგარიშგებო პერიოდში დასაქმებულთა საშუალო რაოდენობა 250-ს აღემატება;

ღ) შემოსავალი – ამ კანონის მიზნებისათვის სუბიექტის მიერ ძირითადი ეკონომიკური საქმიანობის შედეგად, საქონლის გაყიდვიდან ან/და მომსახურების გაწევიდან მიღებული მთლიანი სარგებელი. შემოსავალი არ მოიცავს სავაჭრო ფასდათმობას, არაპირდაპირ გადასახადს, მესამე მხარის სახელით მიღებულ თანხებს და სუბიექტის კუთვნილი აქტივების გამოყენებიდან დივიდენდის, პროცენტისა და როიალტის სახით მიღებულ ეკონომიკურ სარგებელს, გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც ასეთი სარგებლის მიღება სუბიექტის ძირითადი ეკონომიკური საქმიანობის შედეგია;

ყ) საზოგადოებრივი დაინტერესების პირი (შემდგომ – სდპ) – იურიდიული პირი, რომელიც არის:

ყ.ა) ანგარიშვალდებული საწარმო, რომლის ფასიანი ქაღალდები საფონდო ბირჟაზე სავაჭროდ დაშვებულია [„ფასიანი ქაღალდების ბაზრის შესახებ“ საქართველოს კანონის](#) შესაბამისად;

ყ.ბ) კომერციული ბანკი „საქართველოს ეროვნული ბანკის შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის შესაბამისად;

ყ.გ) მიკროსაფინანსო ორგანიზაცია „მიკროსაფინანსო ორგანიზაციების შესახებ“ საქართველოს კანონის შესაბამისად;

ყ.დ) მზღვეველი [„დაზღვევის შესახებ“ საქართველოს კანონის](#) შესაბამისად;

ყ.ე) არასახელმწიფო საპენსიო სქემის დამფუძნებელი [„არასახელმწიფო საპენსიო დაზღვევისა და უზრუნველყოფის შესახებ“ საქართველოს კანონის](#) შესაბამისად;

ყ.ვ) საინვესტიციო ფონდი [„საინვესტიციო ფონდების შესახებ“ საქართველოს კანონის](#) შესაბამისად;

ყ.ზ) არასაბანკო სადეპოზიტო დაწესებულება – საკრედიტო კავშირი [„არასაბანკო სადეპოზიტო დაწესებულებების – საკრედიტო კავშირების შესახებ“ საქართველოს კანონის](#) შესაბამისად;

ყ.თ) საქართველოს მთავრობის მიერ დამტკიცებული კრიტერიუმების საფუძველზე სამსახურის მიერ სდპ-ად განსაზღვრული პირი (გარდა საქართველოს ეროვნული ბანკისა);

შ) არაპრაქტიკოსი – ფიზიკური პირი, რომელსაც სამსახურის უფროსად დანიშვნამდე ან საბჭოს წევრად დამტკიცებამდე სულ მცირე ბოლო 3 უწყვეტი წლის განმავლობაში და საბჭოს წევრად ყოფნის პერიოდში არ განუხორციელებია აუდიტორული საქმიანობა (მომსახურება), აუდიტორულ ფირმაში ხმის უფლება არ ჰქონია, აუდიტორულ ფირმაში მმართველობითი ორგანოს ან სამეთვალყურეო საბჭოს წევრად დასაქმებული არ ყოფილა და არც სხვაგვარად ყოფილა აუდიტორულ ფირმასთან დაკავშირებული;

ჩ) კონტროლი – ეს ტერმინი საწარმოებს შორის ურთიერთობასთან მიმართებით განიმარტება ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისად;

ც) მშობელი საწარმო – სუბიექტი, რომელიც ერთ ან რამდენიმე შვილობილ საწარმოს აკონტროლებს;

ძ) შვილობილი საწარმო – სუბიექტი, რომელსაც მშობელი საწარმო აკონტროლებს, მათ შორის, შვილობილი საწარმო, რომელიც წარმოადგენს მშობელ საწარმოს;

წ) ჯგუფი – მშობელი საწარმო და ყველა მისი შვილობილი საწარმო;



ქ) ხარისხის მართვის სისტემის მონიტორინგი – აუდიტორის/აუდიტორული ფირმის მიერ გამოყენებული პროცედურების აუდიტის, მიმოხილვის, სხვა მარწმუნებელი გარიგებებისა და დაკავშირებული მომსახურების საერთაშორისო სტანდარტებსა და ამ კანონით დადგენილ მოთხოვნებთან შესაბამისობის, ეთიკის წესების დაცვის, გამოყენებული რესურსების ხარისხისა და რაოდენობის, აუდიტორული საქმიანობის (მომსახურების) განხორციელებისთვის მიღებული ანაზღაურების მართლზომიერების და ხარისხის მართვის სისტემის შეფასება;

ბ) კორპორაციული მართვის კოდექსი – დოკუმენტი, რომელიც განსაზღვრავს საწარმოს მმართველობითი ორგანოების მიერ მართვის განხორციელების, ეფექტიანობის, ანაზღაურების, პარტნიორებთან/აქციონერებთან ურთიერთობის და მათ წინაშე ანგარიშვალდებულების წესებს, აგრეთვე არეგულირებს კორპორაციულ მართვასთან დაკავშირებულ სხვა საკითხებს;

ჯ) მარეგულირებელი ორგანო – [„ეროვნული მარეგულირებელი ორგანოების შესახებ“ საქართველოს კანონით](#) განსაზღვრული, საქართველოში მოქმედი ეროვნული მარეგულირებელი ორგანო;

ჰ) საზედამხედველო ორგანო – [„საქართველოს ეროვნული ბანკის შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონით](#), [„დაზღვევის შესახებ“ საქართველოს კანონითა](#) და [„საინვესტიციო ფონდების შესახებ“ საქართველოს კანონით](#) განსაზღვრული საზედამხედველო ორგანო;

ჰ<sup>1</sup>) ქონების მმართველი – [„სახელმწიფო ქონების შესახებ“ საქართველოს კანონით](#) განსაზღვრული ქონების მმართველი.

2. გარდა ამ მუხლის პირველი პუნქტისა, ამ კანონის მიზნებისათვის მასში გამოყენებული ტერმინები განიმარტება საერთაშორისოდ აღიარებული ფინანსური ანგარიშგების, აუდიტის, სხვა მარწმუნებელი გარიგების, დაკავშირებული მომსახურებისა და სხვა აუდიტორული მომსახურების სტანდარტების შესაბამისად.

[საქართველოს 2017 წლის 2 ნოემბრის კანონი №1327 - ვებგვერდი, 13.11.2017წ.](#)  
[საქართველოს 2017 წლის 23 დეკემბრის კანონი №1908 - ვებგვერდი, 11.01.2018წ.](#)  
[საქართველოს 2022 წლის 1 დეკემბრის კანონი №2288 – ვებგვერდი, 13.12.2022წ.](#)

## თავი II

### ბუღალტრული აღრიცხვა და ანგარიშგება

#### მუხლი 3. ბუღალტრული აღრიცხვისა და ანგარიშგების სამართლებრივი საფუძვლები

1. ბუღალტრული აღრიცხვა და ფინანსური ანგარიშგება რეგულირდება ამ კანონითა და საქართველოს სხვა ნორმატიული აქტებით. ბუღალტრული აღრიცხვა და ფინანსური ანგარიშგება უნდა შეესაბამებოდეს ბუღალტრული აღრიცხვისა და ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტებს.

2. ბუღალტრული აღრიცხვისა და ფინანსური ანგარიშგების სტანდარტები შედგება:

ა) ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტებისაგან (IFRS);

ბ) მცირე და საშუალო საწარმოების ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტებისაგან (IFRS for SMEs);

გ) მეოთხე კატეგორიის საწარმოებისათვის დადგენილი ფინანსური ანგარიშგების სტანდარტებისაგან;

დ) არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირებისათვის დადგენილი ფინანსური ანგარიშგების სტანდარტებისაგან.

3. ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტები (IFRS) არის ბუღალტრული აღრიცხვის საერთაშორისო სტანდარტების საბჭოს (IASB) ან მისი უფლებამონაცვლე ორგანოს მიერ მიღებული და გამოცემული სრული სტანდარტები, რომლებიც მოიცავს:



ა) ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტებს;

ბ) ბუღალტრული აღრიცხვის საერთაშორისო სტანდარტებს;

გ) ფინანსური ანგარიშგების ინტერპრეტაციების საერთაშორისო საბჭოს (IFRIC) მიერ ან ინტერპრეტაციების მუდმივმოქმედი კომიტეტის (SIC) მიერ მიღებულ ინტერპრეტაციებს.

4. მცირე და საშუალო საწარმოების ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტები (IFRS for SMEs) არის ბუღალტრული აღრიცხვის საერთაშორისო სტანდარტების საბჭოს (IASB) ან მისი უფლებამონაცვლე ორგანოს მიერ დამტკიცებული ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტები (IFRS for SMEs) მეორე და მესამე კატეგორიების საწარმოებისთვის.

5. ამ მუხლის მე-3 და მე-4 პუნქტებით გათვალისწინებული საერთაშორისო სტანდარტების გამოყენება სავალდებულოა. ამ სტანდარტების გამოყენებამ უზრუნველყოფს სამსახური მათი განახლებიდან 6 თვის ვადაში. სუბიექტს უფლება აქვს, გამოიყენოს ამ სტანდარტების მოქმედი (ინგლისურენოვანი) რედაქცია.

6. მეოთხე კატეგორიის საწარმოებისათვის და არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირებისათვის ფინანსური ანგარიშგების სტანდარტებს ადგენს სამსახური. ამ სტანდარტების გამოყენება სავალდებულოა. ინდივიდუალური მეწარმე, რომელიც არ არის ამ კანონის მე-2 მუხლის პირველი პუნქტის „ე“ ქვეპუნქტით განსაზღვრული სუბიექტი, უფლებამოსილია ბუღალტრული აღრიცხვისა და ფინანსური ანგარიშგების წარმოების მიზნით გამოიყენოს ამ პუნქტის შესაბამისად მეოთხე კატეგორიის საწარმოებისათვის დადგენილი ფინანსური ანგარიშგების სტანდარტები.

7. ბუღალტრული აღრიცხვისა და ფინანსური ანგარიშგების სტანდარტების გამოყენების მიზნით სუბიექტები იყოფა ზომითი კატეგორიების მიხედვით. სუბიექტების ზომითი კატეგორიების მიხედვით დაყოფა რეგულირდება ამ კანონით.

8. სუბიექტები ვალდებული არიან, ბუღალტრული აღრიცხვა და ფინანსური ანგარიშგება აწარმოონ შემდეგი წესით:

ა) სდკ-ები და პირველი კატეგორიის საწარმოები ბუღალტრულ აღრიცხვასა და ფინანსურ ანგარიშგებას აწარმოებენ ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების (IFRS) შესაბამისად;

ბ) მეორე და მესამე კატეგორიების საწარმოები ბუღალტრულ აღრიცხვასა და ფინანსურ ანგარიშგებას აწარმოებენ მცირე და საშუალო საწარმოების ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების (IFRS for SMEs) შესაბამისად. ამასთანავე, მათ უფლება აქვთ, გამოიყენონ ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტები (IFRS);

გ) მეოთხე კატეგორიის საწარმოები და არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირები ბუღალტრულ აღრიცხვასა და ფინანსურ ანგარიშგებას აწარმოებენ სამსახურის მიერ დადგენილი სტანდარტების შესაბამისად, გარდა ამ მუხლის მე-9 პუნქტით გათვალისწინებული შემთხვევისა.

9. ბუღალტრული აღრიცხვისა და ფინანსური ანგარიშგების შესაბამისი სტანდარტების მიხედვით წარმოების ვალდებულება, რომელიც ამ კანონით დამოკიდებულია სუბიექტის ზომით კატეგორიაზე, არ ვრცელდება იმ სუბიექტებზე, რომელთა საქმიანობის მარეგულირებელი შესაბამისი ნორმატიული აქტები ითვალისწინებს ამ კანონით გათვალისწინებული სხვა სტანდარტების გამოყენების წესს, თუ ეს წესი არ ითხოვს სუბიექტის ზომითი კატეგორიისათვის დადგენილ ანგარიშგების სტანდარტებზე დაბალი რანგის ანგარიშგების სტანდარტების გამოყენებას.

10. მეოთხე კატეგორიის საწარმოებსა და არასამეწარმეო (არაკომერციულ) იურიდიულ პირებს უფლება აქვთ, გამოიყენონ მცირე და საშუალო საწარმოების ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტები (IFRS for SMEs) ან ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტები (IFRS).

11. თუ სუბიექტი/ჯგუფი 2 უწყვეტი საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს აღარ აკმაყოფილებს ამ კანონის მე-2 მუხლის პირველი პუნქტის „ტ“-„ქ“ ქვეპუნქტებით გათვალისწინებული სამი კრიტერიუმიდან სულ მცირე ორ კრიტერიუმს, საწარმოს/ჯგუფის ზომითი კატეგორია შეიცვლება და გამოიყენება



შესაბამისი კატეგორიისათვის დადგენილი მოთხოვნები.

12. ამ მუხლის მე-11 პუნქტით გათვალისწინებული პერიოდი არ ეხება იმ საწარმოს/ჯგუფს, რომლის ზომითი კატეგორია წინა საანგარიშგებო პერიოდთან შედარებით ორი ან მეტი კატეგორიით გაიზარდა.

13. თუ სუბიექტის ზომითი კატეგორია წინა საანგარიშგებო პერიოდთან შედარებით არ შეცვლილა, მაგრამ სუბიექტს განზრახული აქვს ბუღალტრული აღრიცხვისა და ფინანსური ანგარიშგების სხვა სტანდარტის გამოყენება, იგი უფლებამოსილია გამოიყენოს მხოლოდ უფრო მაღალი ზომითი კატეგორიის სუბიექტისათვის დადგენილი სტანდარტი.

14. ჯგუფის ზომითი კატეგორიის განსაზღვრისთვის გამოიყენება ამ კანონის მე-2 მუხლის პირველი პუნქტის „ტ“-„ქ“ ქვეპუნქტების შესაბამისად ფინანსური ანგარიშგების სტანდარტების მიხედვით მშობელი საწარმოს საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს კონსოლიდაციის წესით გამოანგარიშებული აქტივების ჯამური ღირებულება, შემოსავალი და საანგარიშგებო პერიოდში დასაქმებულთა საშუალო რაოდენობა.

15. პირველი, მეორე და მესამე კატეგორიების ჯგუფების კონსოლიდირებულ ანგარიშგებაზე ვრცელდება ამ კანონით განსაზღვრული საწარმოს ზომითი კატეგორიების კრიტერიუმები და ამ კატეგორიებისათვის დადგენილი მოთხოვნები. ამასთანავე, ეს კრიტერიუმები ფასდება მშობელი საწარმოს საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს, კონსოლიდირებული მონაცემების გათვალისწინებით.

16. საზედამხედველო ორგანოს ზედამხედველობისადმი დაქვემდებარებულ სუბიექტს სდპ-ის სტატუსს ანიჭებს შესაბამისი საზედამხედველო ორგანო.

17. საზედამხედველო ორგანოს ზედამხედველობისადმი დაქვემდებარებული სუბიექტი, გარდა კომერციული ბანკისა, არასაბანკო სადეპოზიტო დაწესებულებისა – საკრედიტო კავშირისა და მიკროსაფინანსო ორგანიზაციისა, შესაბამისი საზედამხედველო ორგანოს მიერ სდპ-ის სტატუსის მინიჭების შესახებ გადაწყვეტილების მიღების შემთხვევაში არ ჩაითვლება სდპ-ად, თუ ეს სუბიექტი აკმაყოფილებს მეოთხე კატეგორიის საწარმოს ზომითი კატეგორიისათვის დადგენილ მოთხოვნებს. ამ პუნქტის მოთხოვნების გათვალისწინებით, საზედამხედველო ორგანოს ზედამხედველობისადმი დაქვემდებარებული სუბიექტი ითვლება სდპ-ად მისთვის სდპ-ის სტატუსის მინიჭებიდან სულ მცირე 3 საანგარიშგებო პერიოდის განმავლობაში.

18. ამ კანონით გათვალისწინებული შემთხვევების გარდა, სუბიექტების ზომითი კატეგორიებისათვის დადგენილი გამონაკლისები სდპ-ზე არ ვრცელდება.

[საქართველოს 2017 წლის 2 ნოემბრის კანონი №1327 - ვებგვერდი, 13.11.2017წ.](#)

#### **მუხლი 4. ბუღალტრული აღრიცხვის წარმოება**

1. სუბიექტი ბუღალტრულ აღრიცხვას აწარმოებს ამ კანონის შესაბამისად, თუ შესაბამისი სფეროს მარეგულირებელი ნორმატიული აქტით სხვა რამ არ არის დადგენილი.

2. სუბიექტი ბუღალტრულ აღრიცხვას აწარმოებს ნატურალურ საზომ ერთეულებზე დაყრდნობით, განზოგადებულად, ფულად გამოსახულებაში, მათი ქრონოლოგიური, განუწყვეტელი და დოკუმენტური ასახვით.

3. სუბიექტი ბუღალტრულ აღრიცხვას აწარმოებს დასაქმებული ბუღალტრის ან პროფესიული მომსახურების გამწევი ბუღალტრის მეშვეობით, აგრეთვე საბუღალტრო ფირმის ან აუდიტორული ფირმის მიერ მომსახურების გაწევით.

4. სუბიექტი უზრუნველყოფს მის მიერ განხორციელებული ყველა ეკონომიკური მოვლენის ბუღალტრულ ანგარიშებზე ასახვის სისრულეს და შიდა კონტროლს.

5. სუბიექტი ამ კანონით დადგენილი მოთხოვნების შესასრულებლად, მისი საქმიანობისა და ორგანიზაციული სტრუქტურის სირთულის გათვალისწინებით:

ა) განსაზღვრავს სააღრიცხვო პოლიტიკას;



ბ) შეიმუშავებს ანგარიშთა გეგმას საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესების ფარგლებში;

გ) შეიმუშავებს ეკონომიკური მოვლენების ამსახველი დოკუმენტების წარმოებისა და კონტროლის მექანიზმსა და პროცედურებს;

დ) განსაზღვრავს სააღრიცხვო ინფორმაციის დამუშავების ვადებსა და ტექნოლოგიას;

ე) ფინანსური ანგარიშგების შესაბამისი სტანდარტების საფუძველზე შეიმუშავებს ფინანსური ანგარიშგების ფორმებს და განსაზღვრავს ფინანსური ანგარიშგების მომზადებისა და წარდგენის პროცედურებს;

ვ) შეიმუშავებს ბიზნესპროცესებისა და ბიზნესწესების ერთობლიობას (შიდა კონტროლის სისტემას), რომელიც უზრუნველყოფს მისი საქმიანობის ეფექტიანობას, ფინანსური ანგარიშგების უტყუარობას და საქართველოს კანონმდებლობასთან მათ შესაბამისობას.

6. სუბიექტი ბუღალტრულ აღრიცხვას აწარმოებს და ფინანსურ ანგარიშგებას ამზადებს მატერიალური ფორმით ან ელექტრონული საინფორმაციო სისტემების მეშვეობით, ფინანსური ანგარიშგების შესაბამისი სტანდარტების საფუძველზე.

7. სუბიექტი ბუღალტრულ აღრიცხვას აწარმოებს ბუღალტრული აღრიცხვის დოკუმენტების საფუძველზე. ბუღალტრული აღრიცხვის დოკუმენტები შეიძლება შედგენილ იქნეს როგორც ერთ, ისე რამდენიმე ეგზემპლარად. ბუღალტრული აღრიცხვის დოკუმენტებია:

ა) პირველადი აღრიცხვის დოკუმენტები, მათ შორის, შიდა პირველადი აღრიცხვის დოკუმენტი – სუბიექტის შიდა ოპერაციის დამადასტურებელი დოკუმენტი, აგრეთვე გარე პირველადი აღრიცხვის დოკუმენტი – მეორე მხარისგან მიღებული დოკუმენტი ან სუბიექტის მიერ მეორე მხარისთვის წარდგენილი დოკუმენტის ორიგინალი;

ბ) მაგროვებელი დოკუმენტები (სააღრიცხვო რეგისტრი, ჟურნალი და სხვა დოკუმენტი).

8. ეკონომიკური მოვლენები ბუღალტრული აღრიცხვის დოკუმენტების საფუძველზე ბუღალტრულ აღრიცხვაში აისახება ორმაგი ჩაწერის პრინციპის შესაბამისად. ეკონომიკური მოვლენა ბუღალტრულ აღრიცხვაში მოხდენისთანავე აისახება. იგი ასევე აისახება იმ პერიოდის შესაბამის მაგროვებელ დოკუმენტებსა და ფინანსურ ანგარიშგებაში, რომელსაც მიეკუთვნება აღნიშნული მოვლენა.

9. ბუღალტრული აღრიცხვის ჩანაწერს (ბუღალტრულ გატარებას) აქვს შემდეგი რეკვიზიტები:

ა) ოპერაციის თარიღი;

ბ) სადებეტო და საკრედიტო ანგარიშები, შესაბამისი თანხების მითითებით;

გ) ოპერაციის მოკლე აღწერა;

დ) პირველადი აღრიცხვის დოკუმენტის/მაგროვებელი დოკუმენტის დასახელება და ნომერი (ასეთის არსებობის შემთხვევაში);

ე) ოპერაციის თანხობრივი მონაცემი.

10. [\(ამოღებულია - 21.04.2017, №640\).](#)

11. პირველადი აღრიცხვის დოკუმენტი არის ეკონომიკური მოვლენის დამადასტურებელი დოკუმენტი, რომელიც, საჭიროებისამებრ, ერთ ან რამდენიმე იდენტურ ეგზემპლარად დგება და რომელსაც, თუ საქართველოს კანონმდებლობით სხვა რამ არ არის დადგენილი, აქვს შემდეგი რეკვიზიტები:

ა) დოკუმენტის დასახელება და ნომერი;





ბ) დოკუმენტის შედგენის თარიღი;

გ) ოპერაციის ეკონომიკური შინაარსი;

დ) ოპერაციაში მონაწილე პირის/პირების დასახელება/დასახელებები;

ე) ოპერაციაში მონაწილე პირის/პირების საიდენტიფიკაციო მონაცემები და მისამართი/მისამართები (საქონლის/მომსახურების მიწოდების ან სხვა აუცილებელ შემთხვევაში);

ვ) ოპერაციის განხორციელების დამადასტურებელი ხელმოწერები;

ზ) ოპერაციის თანხობრივი და რაოდენობრივი მონაცემები.

12. სუბიექტი უზრუნველყოფს ეკონომიკური მოვლენის დამადასტურებელი პირველადი აღრიცხვის დოკუმენტის როგორც ფორმის (დოკუმენტის სისრულე, გაფორმების სისწორე, რეკვიზიტების არსებობა და სხვა), ისე შინაარსის (ეკონომიკური მოვლენის კანონიერება, ცალკეული მაჩვენებლების ლოგიკური და არითმეტიკული სიზუსტე და სხვა) მიხედვით სწორად შედგენის კონტროლს. ფორმის ან შინაარსის მიხედვით არასწორად შედგენილი დოკუმენტი დოკუმენტის შედგენისათვის პასუხისმგებელ პირს უბრუნდება.

13. ბუღალტრული აღრიცხვის დოკუმენტების შედგენა, მათში შესწორებებისა და დამატებების შეტანა დასაშვებია საქართველოს კანონმდებლობისა და სუბიექტის მიერ შემუშავებული შესაბამისი პროცედურებისა და უსაფრთხოების ზომების დაცვით, რის შედეგადაც შეუძლებელი იქნება ამ დოკუმენტების სანდოობაში ეჭვის შეტანა.

14. პირველადი აღრიცხვის დოკუმენტებში მოცემული ინფორმაცია ქრონოლოგიურად და სისტემატიზებულად, ბუღალტრული აღრიცხვის წარმოების ზოგადი პრინციპების დაცვით აისახება მაგროეკონომიკურ დოკუმენტებში.

15. ეკონომიკური მოვლენების დამადასტურებელ ბუღალტრული აღრიცხვის დოკუმენტებს როგორც წერილობით, ისე ელექტრონულად ხელს აწერს (აწერენ) სუბიექტის ხელმძღვანელობისთვის პასუხისმგებელი პირი, ბუღალტერი ან სუბიექტის შიდა პოლიტიკით განსაზღვრული შესაბამისი უფლებამოსილების მქონე სხვა პირები.

16. შიდა კონტროლის სისტემაზე და სამართლიანი ფინანსური ანგარიშგების მომზადებისათვის და წარდგენისათვის პასუხისმგებლობა საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით სუბიექტს ეკისრება.

17. დოკუმენტებში ასახული მონაცემების უტყუარობისათვის, აგრეთვე ბუღალტრული აღრიცხვის დოკუმენტების დროული და ხარისხიანი შედგენისათვის პასუხს აგებენ ამ დოკუმენტების შემდგენი და მათზე ხელის მომწერი პირები.

18. როგორც ელექტრონული, ისე მატერიალური ფორმით არსებული ფინანსური ანგარიშგებები და ბუღალტრული აღრიცხვის დოკუმენტები სუბიექტთან ინახება შესაბამისი საანგარიშგებო პერიოდის დასრულებიდან 6 წლის განმავლობაში, გარდა საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებული შემთხვევისა.

[საქართველოს 2017 წლის 21 აპრილის კანონი №640 - ვებგვერდი, 10.05.2017წ.](#)

[საქართველოს 2022 წლის 1 დეკემბრის კანონი №2288 – ვებგვერდი, 13.12.2022წ.](#)

## **მუხლი 5. ფინანსური ანგარიშგება და მისი მომზადებისა და შედგენის ძირითადი პრინციპები**

1. სუბიექტი ფინანსურ ანგარიშგებას ამზადებს ამ კანონის შესაბამისად, თუ შესაბამისი სფეროს მარეგულირებელი ნორმატიული აქტით სხვა რამ არ არის დადგენილი. ამასთანავე, მეოთხე კატეგორიის საწარმოსა და არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირის ფინანსური ანგარიშგებები მზადდება მხოლოდ მათთვის დადგენილი ფინანსური ანგარიშგების სტანდარტების შესაბამისად.



2. სუბიექტი ფინანსურ ანგარიშგებას ამზადებს სულ მცირე წელიწადში ერთხელ.

3. სუბიექტის მიერ შედგენილი ფინანსური ანგარიშგება უნდა იყოს სრული, სწორი და სამართლიანი. იგი შესადარი პერიოდისთვის უნდა ასახავდეს სუბიექტის ფინანსურ მდგომარეობას, საქმიანობის შედეგებს, ფულადი სახსრებისა და კაპიტალის მოძრაობას და განმარტებით შენიშვნებს. ფინანსურ ანგარიშგებაში მოცემული ინფორმაცია უნდა შეესაბამებოდეს ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტებით განსაზღვრულ ფუნდამენტურ ხარისხობრივ მახასიათებლებს.

4. ამ მუხლის პირველი პუნქტით გათვალისწინებული ფინანსური ანგარიშგებების შედგენის, მათ შორის, მათი კონსოლიდირების, წესს განსაზღვრავს სუბიექტის მიერ ამ კანონის მე-3 მუხლის შესაბამისად სუბიექტისათვის დადგენილი ან მის მიერ არჩეული ფინანსური ანგარიშგების სტანდარტი, გარდა კანონით გათვალისწინებული შემთხვევებისა.

5. სუბიექტმა მისთვის განსაზღვრული ფინანსური ანგარიშგების სტანდარტების შესაბამისად შერჩეული სააღრიცხვო პოლიტიკა და მეთოდები თანამიმდევრულად უნდა გამოიყენოს, გარდა იმ შემთხვევისა, თუ განსხვავებული ფინანსური ანგარიშგების სააღრიცხვო პოლიტიკა და მეთოდები უფრო სამართლიანად და მიუკერძოებლად ასახავს სუბიექტის ფინანსურ მდგომარეობასა და საქმიანობას. სუბიექტის მიერ სააღრიცხვო პოლიტიკისა და მეთოდების შეცვლა დასაშვებია მხოლოდ მის მიერ არჩეული ფინანსური ანგარიშგების სტანდარტების ფარგლებში.

6. სდპ-მა და პირველი კატეგორიის საწარმომ ფინანსური ანგარიშგების განმარტებით შენიშვნებში დამატებით უნდა წარადგინონ ინფორმაცია:

ა) სუბიექტის შემოსავლის შესახებ, საქმიანობის კატეგორიებისა და ბაზრების გეოგრაფიული განაწილების მიხედვით, თუ საქონლის/მომსახურების გაყიდვის ორგანიზების თვალსაზრისით ამ კატეგორიებსა და ბაზრებს შორის არსებითი განსხვავება;

ბ) სუბიექტის წლიური ფინანსური ანგარიშგების აუდიტის ჩატარების და სუბიექტისთვის სხვა პროფესიული მომსახურების გაწევის სანაცვლოდ აუდიტორისთვის/აუდიტორული ფირმისთვის მიცემული ანაზღაურების შესახებ.

7. მესამე კატეგორიის საწარმო ვალდებულია ამ კანონის მე-7 მუხლის მე-6 პუნქტის „ე“ ქვეპუნქტით გათვალისწინებული ინფორმაცია ასახოს ფინანსური ანგარიშგების განმარტებით შენიშვნებში.

8. ფინანსური ანგარიშგების ამსახველ დოკუმენტებში უნდა მიეთითოს სუბიექტის სახელწოდება, მარეგისტრირებელი ორგანო, სუბიექტის რეგისტრაციის ნომერი, სამართლებრივი ფორმა, იურიდიული მისამართი და, თუ დაწყებულია სუბიექტის ლიკვიდაციის პროცესი, ინფორმაცია ლიკვიდაციის პროცესის შესახებ.

## **მუხლი 6. ფინანსური ანგარიშგების აუდიტის მოთხოვნა**

1. სდპ, პირველი და მეორე კატეგორიების საწარმოები და პირველი და მეორე კატეგორიების ჯგუფები ვალდებული არიან, უზრუნველყონ საკუთარი ფინანსური ანგარიშგების/კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების აუდიტი ამ კანონის მე-15 მუხლით გათვალისწინებული წესით, თუ შესაბამისი სფეროს მარეგულირებელი ნორმატიული აქტებით სხვა რამ არ არის დადგენილი.

2. მარეგულირებელი/საზედამხედველო ორგანოს რეგულირებისადმი/ზედამხედველობისადმი დაქვემდებარებული საწარმოსთვის შუალედური ფინანსური ანგარიშგების აუდიტის ჩატარების ან/და სხვა მარწმუნებელ გარიგებაზე მოთხოვნას ადგენს შესაბამისი სფეროს მარეგულირებელი კანონმდებლობა.

3. მესამე და მეოთხე კატეგორიების საწარმოები და არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირები გათავისუფლებული არიან ფინანსური ანგარიშგების აუდიტის ვალდებულებისაგან, თუ საქართველოს კანონმდებლობით სხვა რამ არ არის დადგენილი.

4. ამ მუხლის პირველი პუნქტის მოთხოვნა ვრცელდება იმ სუბიექტზედაც, რომელიც არის ჯგუფში



## მუხლი 7. მმართველობის ანგარიშგება

1. სდპ-მა და პირველი და მეორე კატეგორიების საწარმოებმა უნდა მოამზადონ და სამსახურს უნდა წარუდგინონ მმართველობის ანგარიშგება. მმართველობის ანგარიშგების მომზადებისა და წარდგენის წესს შესაბამისი ევროკავშირის დირექტივების მოთხოვნების გათვალისწინებით ადგენს სამსახური.

2. მმართველობის ანგარიშგება მოიცავს:

ა) საქმიანობის მიმოხილვას;

ბ) კორპორაციული მართვის ანგარიშგებას;

გ) არაფინანსურ ანგარიშგებას.

3. ამ მუხლის მე-2 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტით გათვალისწინებულ საქმიანობის მიმოხილვას ამზადებენ სდპ და პირველი და მეორე კატეგორიების საწარმოები.

4. ამ მუხლის მე-2 პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტით გათვალისწინებულ კორპორაციული მართვის ანგარიშგებას ამზადებს ამ კანონის მე-2 მუხლის პირველი პუნქტის „ყ.ა“ ქვეპუნქტით განსაზღვრული პირი.

5. ამ მუხლის მე-2 პუნქტის „გ“ ქვეპუნქტით გათვალისწინებულ არაფინანსურ ანგარიშგებას ამზადებს ის სდპ, რომელიც შეესაბამება პირველი კატეგორიის საწარმოს ზომით კატეგორიას, ამასთანავე, საანგარიშგებო პერიოდში ჰყავს საშუალოდ 500-ზე მეტი დასაქმებული.

6. ამ მუხლის მე-2 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტით გათვალისწინებული საქმიანობის მიმოხილვა, საქმიანობის მოცულობისა და სირთულის გათვალისწინებით, ასახავს სუბიექტის საქმიანობის განვითარების, შედეგებისა და მდგომარეობის, სუბიექტის წინაშე არსებული ძირითადი რისკებისა და გაურკვევლობების ამომწურავ ანალიზს. იგი სუბიექტის საქმიანობის სრულად გაგებისთვის, საჭიროების შემთხვევაში, დამატებით უნდა მოიცავდეს აუცილებელ ძირითად ფინანსურ და არაფინანსურ მაჩვენებლებს, არაფინანსურ ინდიკატორებს, რომლებიც დაკავშირებულია სუბიექტის საქმიანობასთან, მათ შორის, დასაქმების და გარემოს დაცვის საკითხებთან, აგრეთვე წლიურ ფინანსურ ანგარიშგებაში ასახული თანხების შესახებ დამატებით განმარტებებს. საქმიანობის მიმოხილვა ასევე უნდა მოიცავდეს:

ა) სუბიექტის განვითარების გეგმებს;

ბ) სუბიექტის მიერ წარმოებული კვლევებისა და მისი განვითარების მიმოხილვას;

გ) ინფორმაციას სუბიექტის ფილიალების საქმიანობის შესახებ;

დ) სუბიექტის საკრედიტო, საბაზრო, ლიკვიდობის და ფულადი ნაკადების რისკების მიმოხილვას და ინფორმაციას ამ რისკების მართვის მექანიზმების შესახებ;

ე) საკუთარი აქციების შეძენის შესახებ ინფორმაციას, რომელიც სულ მცირე უნდა მოიცავდეს შემდეგ მონაცემებს:

ე.ა) საანგარიშგებო პერიოდში აქციების შეძენის მიზეზი;

ე.ბ) საანგარიშგებო პერიოდში შეძენილი და გასხვისებული აქციების რაოდენობა და ნომინალური ღირებულება, ხოლო მისი არარსებობის შემთხვევაში – საბალანსო ღირებულება და განთავსებულ კაპიტალში აქციების წილობრივი მაჩვენებელი;

ე.გ) აქციების შეძენისათვის ან გასხვისებისათვის განხორციელებული საპასუხო შესრულება;



ე.დ) საანგარიშგებო პერიოდში შემენილი და საკუთრებაში დატოვებული აქციების რაოდენობა და ნომინალური ღირებულება, ხოლო მისი არარსებობის შემთხვევაში – საბალანსო ღირებულება და განთავსებულ კაპიტალში აქციების წილობრივი მაჩვენებელი;

ვ) ინფორმაციას ფინანსური რისკების მართვასთან დაკავშირებით სუბიექტის მიზნებისა და პოლიტიკის შესახებ.

7. ამ მუხლის მე-2 პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტით გათვალისწინებული კორპორაციული მართვის ანგარიშგება სულ მცირე უნდა მოიცავდეს:

ა) სუბიექტისათვის სავალდებულო ან სუბიექტის მიერ საკუთარი სურვილით შერჩეული (ასეთის არსებობის შემთხვევაში) კორპორაციული მართვის კოდექსის და სუბიექტის იმ კორპორაციული მართვის პრაქტიკის მიმოხილვას, რომელიც აღემატება კანონით დადგენილ მოთხოვნებს. საკუთარი სურვილით შერჩეული კორპორაციული მართვის კოდექსის გამოყენების შემთხვევაში სუბიექტი ვალდებულია მიუთითოს, თუ სად არის ეს კოდექსი საჯაროდ განთავსებული. კორპორაციული მართვის პრაქტიკის მითითების შემთხვევაში სუბიექტი საჯაროს ხდის ამ პრაქტიკის შესახებ დეტალურ ინფორმაციას;

ბ) სავალდებულო ან საკუთარი სურვილით შერჩეული კორპორაციული მართვის კოდექსიდან გადახვევების ან ამ პუნქტის „ა“ ქვეპუნქტით გათვალისწინებულ შემთხვევაში აღნიშნულ კოდექსზე მიუთითებლობის ფაქტებს და შესაბამისი მიზეზების ანალიზს;

გ) ფინანსური ანგარიშგების შედგენის პროცესთან დაკავშირებული შიდა კონტროლისა და რისკების მართვის სისტემების მიმოხილვას;

დ) აქციონერთა და აქციონერთა საერთო კრების უფლებების და მათი განხორციელების წესების მიმოხილვას;

ე) სუბიექტის მმართველობითი ორგანოს და სამეთვალყურეო საბჭოს შემადგენლობისა და ფუნქციონირების მიმოხილვას;

ვ) სუბიექტის (გარდა იმ ანგარიშვალდებული საწარმოებისა, რომლებიც აკმაყოფილებენ მეორე და მესამე კატეგორიების საწარმოთა კრიტერიუმებს) მიერ თავისი მმართველობითი ორგანოს და სამეთვალყურეო საბჭოს მიმართ გამოყენებული დივერსიფიკაციის პოლიტიკის (ასაკის, სქესის, კვალიფიკაციისა და სხვა) მიმოხილვას, აგრეთვე ინფორმაციას ამ პოლიტიკის მიზნების, გამოყენებული მეთოდების და შესაბამის პერიოდში მიღწეული შედეგების შესახებ. აღნიშნული პოლიტიკის არარსებობის შემთხვევაში შესაბამისი მიზეზი კორპორაციული მართვის ანგარიშგებაში განიმარტება;

ზ) „ფასიანი ქაღალდების ბაზრის შესახებ“ საქართველოს კანონის 15<sup>1</sup> მუხლით გათვალისწინებული სავალდებულო სატენდერო შეთავაზების შემთხვევაში – შემდეგ მონაცემებს:

ზ.ა) კაპიტალში პირდაპირი ან არაპირდაპირი მნიშვნელოვანი მონაწილეობის შესახებ ინფორმაციას;

ზ.ბ) იმ ფასიანი ქაღალდების მფლობელების შესახებ ინფორმაციას, რომლებიც განსაკუთრებული კონტროლის შესაძლებლობას იძლევა, და ამ უფლების აღწერას;

ზ.გ) ხმის მიცემის უფლების განხორციელების შეზღუდვის (კერძოდ, გარკვეული პროცენტის ფასიანი ქაღალდების ან ხმის რაოდენობის მფლობელებისთვის ხმის მიცემის უფლების შეზღუდვის) შესახებ ინფორმაციას;

ზ.დ) მმართველობითი ორგანოს წევრთა დანიშვნასა და შეცვლასთან დაკავშირებულ წესებს, აგრეთვე წესდების ცვლილების შესახებ ინფორმაციას;

ზ.ე) მმართველობითი ორგანოს წევრთა უფლებამოსილებების შესახებ ინფორმაციას.

8. ამ მუხლის მე-2 პუნქტის „გ“ ქვეპუნქტით გათვალისწინებული არაფინანსური ანგარიშგება მოიცავს



სულ მცირე გარემოს დაცვის, სოციალური, დასაქმების, ადამიანის უფლებების დაცვისა და კორუფციის წინააღმდეგ ბრძოლის საკითხებზე სუბიექტის საქმიანობის განვითარების, შედეგებისა და მდგომარეობის ზეგავლენის დასადგენად აუცილებელ ინფორმაციას, მათ შორის:

ა) სუბიექტის ბიზნესმოდელის მოკლე მიმოხილვას;

ბ) სუბიექტის მიერ ამ პუნქტით გათვალისწინებული საკითხების მიმართ გამოყენებული პოლიტიკის აღწერას, მათ შორის, ინფორმაციას განხორციელებული კომპლექსური პროცედურებისა და გატარებული პოლიტიკის შედეგების შესახებ. თუ სუბიექტი არ იყენებს ასეთ პოლიტიკას, ამასთან დაკავშირებით ანგარიშგებაში ნათელი და დასაბუთებული განმარტება შეიტანება;

გ) სუბიექტის საქმიანობის რისკების ანალიზს, რაც საჭიროების შემთხვევაში მოიცავს (მაგრამ არ შემოიფარგლება) სუბიექტის ბიზნესურთიერთობებს, ამ პუნქტით გათვალისწინებულ საკითხებზე პროდუქციის ან/და მომსახურების შესაძლო უარყოფით ზეგავლენას და სუბიექტის მიერ გამოყენებულ რისკების მართვის მეთოდებს;

დ) კონკრეტული საქმიანობის ძირითად არაფინანსურ მაჩვენებლებს;

ე) საჭიროების შემთხვევაში – წლიურ ფინანსურ ანგარიშგებაში ასახულ თანხებზე მითითებას და მათ შესახებ დამატებით განმარტებებს.

9. სუბიექტს, რომელიც არის შვილობილი საწარმო, არ ევალება ამ მუხლის მე-8 პუნქტით გათვალისწინებული არაფინანსური ანგარიშგების წარდგენა, თუ შესაბამისი ინფორმაცია მოცემულია ჯგუფის კონსოლიდირებულ ანგარიშგებაში.

10. სდპ და პირველი და მეორე კატეგორიების საწარმოები ვალდებული არიან, მმართველობის ანგარიშგება მიაწოდონ აუდიტორს/აუდიტორულ ფირმას. აუდიტორი/აუდიტორული ფირმა გამოთქვამს თავის მოსაზრებას ამ მუხლის მე-6 პუნქტისა და მე-7 პუნქტის „გ“ და „ზ“ ქვეპუნქტების მის მარეგულირებელ ნორმატიულ აქტებთან შესაბამისობისა და იმავე საანგარიშგებო პერიოდის ფინანსურ ანგარიშგებებთან თანხედენილობის თაობაზე. აუდიტის განხორციელების პროცესში სუბიექტის შესახებ მიღებული ინფორმაციის გათვალისწინებით აუდიტორი/აუდიტორული ფირმა განსაზღვრავს არსებით უზუსტობებს და საჭიროების შემთხვევაში მიუთითებს მათ არსს. აუდიტორი/აუდიტორული ფირმა ამოწმებს, ასახულია თუ არა ანგარიშგებაში ამ მუხლის მე-7 პუნქტის „ა“, „ბ“ და „დ“-„ვ“ ქვეპუნქტებით და მე-8 პუნქტით გათვალისწინებული ინფორმაცია.

11. თუ ამ მუხლით გათვალისწინებული ინფორმაცია ასახულია ამ კანონის მე-9 მუხლის მე-2 პუნქტით დადგენილი წესით წარდგენილ ფინანსურ ანგარიშგებაში, სუბიექტი თავისუფლდება აღნიშნული ინფორმაციის მმართველობის ანგარიშგებაში ასახვის ვალდებულებისაგან.

12. ამ მუხლის მოთხოვნები ვრცელდება იმ კატეგორიის ჯგუფებზე, რომლებიც აკმაყოფილებენ პირველი და მეორე კატეგორიების საწარმოთა კრიტერიუმებს.

13. მარეგულირებელი/საზედამხედველო ორგანო უფლებამოსილია სამსახურთან შეთანხმებით დაადგინოს შეზღუდვები ამ მუხლით გათვალისწინებული ინფორმაციის გამოქვეყნების მოთხოვნის მიმართ, თუ აღნიშნული ინფორმაციის გამჟღავნება საფრთხეს უქმნის სდპ-ის ან შესაბამისი დარგის ფინანსურ სტაბილურობას.

[საქართველოს 2021 წლის 2 აგვისტოს კანონი №877 – ვებგვერდი, 04.08.2021წ.](#)

## **მუხლი 8. სახელმწიფოს მიმართ განხორციელებული გადახდების შესახებ ანგარიშგება**

1. სდპ და პირველი კატეგორიის საწარმო, რომელთა საქმიანობა მოიცავს წიაღით სარგებლობას (მათ შორის, ნავთობისა და გაზის მოპოვებას) ან ბუნებრივი წარმოშობის ტყეში ხე-ტყის დამზადებას, ვალდებული არიან, ყოველწლიურად მოამზადონ და წარადგინონ სახელმწიფოს მიმართ განხორციელებული გადახდების შესახებ ანგარიშგება. ამ ანგარიშგებაში უნდა აისახოს სახელმწიფოსთვის მოგების გადასახადის, სალიცენზიო და ბუნებრივი რესურსებით სარგებლობისათვის მოსაკრებლების, ბუნებრივი რესურსებით სარგებლობის რეგულირების



საფასურის, როიალტის, დივიდენდის, „ნავთობისა და გაზის შესახებ“ საქართველოს კანონით განსაზღვრული ბონუსის, ქირისა და საკონცესიო გადასახადის სახით, ფულადი ან ნატურალური ფორმით გადახდილი ის თანხები, რომლებიც საანგარიშგებო პერიოდში გადახდის ამ თითოეული სახეობისათვის ერთჯერადად ან ჯამურად 100 000 ლარს აღემატება.

2. სახელმწიფოს მიმართ განხორციელებულ გადახდებზე ითვლება საქართველოს სახელმწიფო ბიუჯეტში გადახდილი ნებისმიერი თანხა, ადმინისტრაციული ორგანოს და იმ საწარმოს მიმართ განხორციელებული გადახდები, რომელშიც სახელმწიფოს წილობრივი მონაწილეობა 50 პროცენტს აღემატება, აგრეთვე სხვა ქვეყნის სახელმწიფო, რეგიონული და ადგილობრივი ორგანოების მიმართ განხორციელებული გადახდები.

3. წილისა და მისით სარგებლობის სახეები, აგრეთვე სახელმწიფოს მიმართ განხორციელებული გადახდების შესახებ ანგარიშგების მომზადების, წარდგენისა და გამოქვეყნების წესი განისაზღვრება საქართველოს მთავრობის დადგენილებით.

## **მუხლი 9. ანგარიშგებების წარდგენა და გამოქვეყნება**

1. სუბიექტების ანგარიშგებების და ჯგუფების კონსოლიდირებული ანგარიშგებების განსათავსებლად ვებგვერდის შექმნასა და მართვას, აგრეთვე ამ ვებგვერდის მომხმარებლებისთვის ხელმისაწვდომობას უზრუნველყოფს სამსახური.

2. სუბიექტი (გარდა არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირისა) ვალდებულია მისთვის ამ კანონით დადგენილი ფინანსური ანგარიშგება (მათ შორის, კონსოლიდირებული ანგარიშგება), მმართველობის ანგარიშგება (მათ შორის, კონსოლიდირებული ანგარიშგება), სახელმწიფოს მიმართ განხორციელებული გადახდების შესახებ ანგარიშგება და ამ კანონით გათვალისწინებულ შემთხვევებში აუდიტორული დასკვნა ერთად, დაუყოვნებლივ, მაგრამ არაუგვიანეს საანგარიშგებო პერიოდის მომდევნო წლის 1 ოქტომბრისა, წარუდგინოს სამსახურს მის მიერ დადგენილი წესით.

3. სამსახური ვალდებულია სუბიექტების მიერ წარდგენილი ანგარიშგებები (მათ შორის, კონსოლიდირებული ანგარიშგებები) და აუდიტორული დასკვნები, გარდა მეოთხე კატეგორიის საწარმოების ანგარიშგებებისა, გამოაქვეყნოს მათი წარდგენიდან 1 თვის ვადაში. პირს უფლება აქვს, სამსახურის მიერ დადგენილი წესით მოითხოვოს მეოთხე კატეგორიის საწარმოს ანგარიშგება. სამსახური უზრუნველყოფს სუბიექტების მიერ წარდგენილი ანგარიშგებების ამ კანონითა და მის საფუძველზე მიღებული ნორმატიული აქტებით დადგენილ მოთხოვნებთან შესაბამისობის შერჩევით გადამოწმებას რისკზე დაფუძნებული მიდგომის საფუძველზე. ამ პუნქტით გათვალისწინებულ შემთხვევაში სამსახური უფლებამოსილია სუბიექტს მოსთხოვოს გამოვლენილი ხარვეზების აღმოფხვრა.

4. თუ სუბიექტის საანგარიშგებო პერიოდი არ ემთხვევა კალენდარულ წელს, იგი ვალდებულია სამსახურს წარუდგინოს ანგარიშგება მისი ხელმისაწვდომობისთანავე, დაუყოვნებლივ, მაგრამ საანგარიშგებო პერიოდის დასრულებიდან არაუგვიანეს 9 თვისა.

5. სდპ ვალდებულია ამ მუხლის მე-2 პუნქტით გათვალისწინებული ანგარიშგებები (მათ შორის, კონსოლიდირებული ანგარიშგებები) გამოაქვეყნოს საკუთარ ვებგვერდზე ან ბეჭდვით გამოცემაში.

6. სუბიექტი ვალდებულია მარეგულირებელი/საზედამხედველო ორგანოს მიერ განსაზღვრულ შემთხვევაში მარეგულირებელი/საზედამხედველო ორგანოს წარუდგინოს შუალედური ფინანსური ანგარიშგება. შუალედური ფინანსური ანგარიშგების მარეგულირებელი/საზედამხედველო ორგანოსათვის წარდგენის წესი განისაზღვრება შესაბამისი სფეროს მარეგულირებელი კანონმდებლობით.

7. მესამე კატეგორიის საწარმოს მიერ ფინანსური ანგარიშგების გამარტივებული სახით წარდგენის წესს შესაბამისი ევროკავშირის დირექტივების მოთხოვნების გათვალისწინებით ადგენს სამსახური.

## **თავი III**

**პროფესიული ორგანიზაციები, პროფესიული სერტიფიცირება და განგრძობითი განათლება**



## მუხლი 10. მოთხოვნები პროფესიული ორგანიზაციის მიმართ

1. ამ კანონის მიზნებისათვის პროფესიულ ორგანიზაციად ითვლება საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად შექმნილი ბუღალტერთა ან/და აუდიტორთა პროფესიული ორგანიზაცია, რომელიც რეგისტრირებულია არასამეწარმეო (არაკომერციულ) იურიდიულ პირად და აკმაყოფილებს ამ კანონისა და მის საფუძველზე მიღებული ნორმატიული აქტების მოთხოვნებს.
2. პროფესიულ ორგანიზაციას უნდა ჰქონდეს შიდა პოლიტიკა, სისტემები და პროცედურები, რომლებიც უზრუნველყოფს:
  - ა) პროფესიული სერტიფიცირებისა და განგრძობითი განათლების მიმართ მოთხოვნების დაკმაყოფილებას;
  - ბ) პროფესიული ორგანიზაციების წევრების მიერ პროფესიონალი ბუღალტრების ეთიკის კოდექსისა (IESBA Code) და ხარისხის მართვის სისტემის მიმართ მოთხოვნების შესრულებას.
3. სამსახური უფლებამოსილია განახორციელოს პროფესიული ორგანიზაციის ამ კანონისა და მის საფუძველზე მიღებული ნორმატიული აქტების მოთხოვნებთან შესაბამისობის მონიტორინგი.
4. პროფესიული ორგანიზაციის მმართველობითი ორგანოს წევრთა უმრავლესობას აუდიტორები ან/და სერტიფიცირებული ბუღალტრები შეადგენენ.
5. პროფესიული ორგანიზაცია უზრუნველყოფს მისი წევრების მიერ პროფესიული ორგანიზაციის მიერ დადგენილი მოთხოვნების დარღვევის გამოვლენას და მათთვის დისციპლინური პასუხისმგებლობის დაწესებას. პროფესიული ორგანიზაციების მიერ მათ წევრ აუდიტორთა სამართალდარღვევების გამოვლენისა და დისციპლინური პასუხისმგებლობის განსაზღვრის წესებს სამსახურთან შეთანხმებით ადგენენ პროფესიული ორგანიზაციები.
6. პროფესიული ორგანიზაცია ვალდებულია მართოს საკუთარი ვებგვერდი, რომელზედაც გამოაქვეყნებს მისი წევრი აუდიტორებისა და პროფესიული ორგანიზაციის მიერ სერტიფიცირებული ბუღალტრების რეესტრს, აგრეთვე პროფესიული ორგანიზაციის ყოველწლიურ ფინანსურ ანგარიშგებას და საქმიანობის შესახებ ანგარიშს.

[საქართველოს 2022 წლის 1 დეკემბრის კანონი №2288 – ვებგვერდი, 13.12.2022წ.](#)

## მუხლი 11. პროფესიული სერტიფიცირება და განგრძობითი განათლება

1. სამსახური პირის სერტიფიცირებულ ბუღალტრად აღიარებისათვის და მის მიერ კვალიფიკაციის შენარჩუნებისათვის ადგენს პროფესიული სერტიფიცირების სტანდარტს და განგრძობითი განათლების სტანდარტს, რომლებიც შეესაბამება ევროკავშირის დირექტივების მოთხოვნებს და ბუღალტერთა საერთაშორისო ფედერაციის (IFAC) მიერ დადგენილ განათლების საერთაშორისო სტანდარტებს (IES). პროფესიული სერტიფიცირების სტანდარტი განსაზღვრავს პროფესიული სერტიფიცირებისათვის სასწავლო დისციპლინებს, საგამოცდო პროცესის წარმართვის, საგნების ჩათვლის და გამოცდებისაგან გათავისუფლების წესს, პროფესიული სერტიფიცირებისათვის წარსადგენ დოკუმენტაციას და სერტიფიკატის გაცემის წესს. განგრძობითი განათლების სტანდარტი განსაზღვრავს განგრძობითი განათლების პროგრამას და მისი განხორციელების წესს.
2. პირის კვალიფიკაცია დასტურდება პროფესიული სერტიფიცირების შესაბამისად. პროფესიულ სერტიფიცირებას ახორციელებენ ის პროფესიული ორგანიზაციები, რომელთა სასერტიფიკაციო პროგრამები ან/და საგამოცდო პროცესი აკმაყოფილებს სამსახურის მიერ დადგენილ სტანდარტებს და აღიარებულია სასერტიფიკაციო პროგრამებისა და საგამოცდო პროცესის აღიარების წესის შესაბამისად. სასერტიფიკაციო პროგრამებისა და საგამოცდო პროცესის აღიარების წესს ადგენს სამსახური.
3. სამსახური უფლებამოსილია აღიაროს სპეციალიზებული გამოცდების განმახორციელებელი ორგანოები მხოლოდ საგამოცდო პროცესის წარმართვის მიზნებისათვის. ის პროფესიული ორგანიზაცია, რომლის მხოლოდ სასერტიფიკაციო პროგრამებია აღიარებული, უფლებამოსილია



განახორციელოს პროფესიული სერტიფიცირება სპეციალიზებული გამოცდების განმახორციელებელი ორგანოს მიერ ჩატარებული გამოცდების საფუძველზე. პროფესიული ორგანიზაცია შეიძლება აღიარებულ იქნეს სპეციალიზებული გამოცდების განმახორციელებელ ორგანოდ ამ მუხლის მე-2 პუნქტით განსაზღვრული სასერტიფიკაციო პროგრამებისა და საგამოცდო პროცესის აღიარების წესის შესაბამისად.

4. ამ მუხლის მე-2 და მე-3 პუნქტებით გათვალისწინებული აღიარებული სასერტიფიკაციო პროგრამებისა და განგრძობითი განათლების პროგრამებისა და საგამოცდო პროცესების რეესტრის წარმოებას უზრუნველყოფს სამსახური.

5. პროფესიული სერტიფიცირებისათვის განკუთვნილი საგამოცდო ტესტების მომზადება საგამოცდო პროცესის ნაწილია. მას უზრუნველყოფენ სპეციალიზებული გამოცდების განმახორციელებელი ორგანოები.

6. პირთა გამოცდებზე დაშვების ან საკვალიფიკაციო დისციპლინაში გამოცდისაგან გათავისუფლების მიზნით სამსახური აღიარებს პროფესიული ორგანიზაციის ან/და საგანმანათლებლო საქმიანობის განმახორციელებელი პირის პროფესიული სერტიფიცირებისათვის განკუთვნილ სასწავლო პროგრამებს ან ცალკეულ დისციპლინებს (საგნებს).

7. პროფესიული სერტიფიცირების შედეგად პირს სერტიფიცირებული ბუღალტრის სტატუსი ენიჭება. პროფესიული ორგანიზაცია მას ამ სტატუსის დამადასტურებელ სერტიფიკატს გადასცემს.

7<sup>1</sup>. სერტიფიცირებული ბუღალტრების რეესტრის წარმოებასა და საჯაროობას უზრუნველყოფს სამსახური თავის მიერ დადგენილი წესით.

8. სერტიფიცირებული ბუღალტრის სტატუსი პირს არ ანიჭებს აუდიტის ჩატარების უფლებას, სანამ არ განხორციელდება მისი რეესტრში რეგისტრაცია.

9. განგრძობითი განათლების პროცესს უზრუნველყოფენ პროფესიული ორგანიზაციები სამსახურის მიერ დადგენილი წესით. პროფესიული ორგანიზაციები ვალდებული არიან, მონიტორინგი გაუწიონ სერტიფიცირებულ ბუღალტერთა განგრძობით განათლებას და აწარმოონ შესაბამისი აღრიცხვა. თუ პროფესიული ორგანიზაციის გადაწყვეტილებით პირი აღარ აკმაყოფილებს განგრძობითი განათლების მიმართ მოთხოვნებს, პროფესიული ორგანიზაცია ვალდებულია ამ გადაწყვეტილების მიღებიდან არაუგვიანეს 5 სამუშაო დღისა აცნობოს სამსახურს ამის შესახებ.

10. პროფესიული ორგანიზაციის მიერ პროფესიული სერტიფიცირებისა და განგრძობითი განათლების სფეროში დადგენილი წესების დარღვევისათვის პასუხისმგებლობის დაკისრება ხდება ამ კანონითა და მის საფუძველზე მიღებული კანონქვემდებარე ნორმატიული აქტებით დადგენილი წესით.

[საქართველოს 2019 წლის 30 ოქტომბრის კანონი №5227 – ვებგვერდი, 30.10.2019წ.](#)

## თავი IV

### რეესტრი, პროფესიული მომსახურების გამწვევი ბუღალტრების სახელმწიფო რეესტრი და საბუღალტრო ფირმების სახელმწიფო რეესტრი

[საქართველოს 2022 წლის 1 დეკემბრის კანონი №2288 – ვებგვერდი, 13.12.2022წ.](#)

**მუხლი 12. აუდიტორების/აუდიტორული ფირმების სახელმწიფო რეესტრის წარმოება და ინფორმაციის ხელმისაწვდომობა**

1. რეესტრის წარმოებას, აგრეთვე მასში ასახული ინფორმაციის საჯაროობასა და ხელმისაწვდომობას უზრუნველყოფს სამსახური.

2. რეესტრის წარმოების მიზნით სამსახური იყენებს პროგრამულ უზრუნველყოფას და მართვის ავტომატურ საშუალებებს. რეესტრი საჯაროა.





3. ვებგვერდისა და რეესტრის ელექტრონული ფორმით წარმოების წესს, მის სტრუქტურას, ფორმას, მასში ასახული ინფორმაციის ნუსხას და მომხმარებელთა იდენტიფიცირების წესს განსაზღვრავს სამსახური.

4. სამსახური უფლებამოსილია ელექტრონული ან წერილობითი მიმართვის საფუძველზე ელექტრონული ან/და მატერიალური ფორმით გასცეს სამსახურის მიერ შექმნილი ან/და სამსახურში დაცული ნებისმიერი დოკუმენტი.

5. დაცული ინფორმაციისა და დოკუმენტების გაცნობის, მათი დედნებისა და ასლების გამოთხოვის წესი და პირობები განისაზღვრება სამსახურის მიერ დადგენილი წესით.

6. აუდიტორის/აუდიტორული ფირმის იდენტიფიკაცია უზრუნველყოფილია პირის ინდივიდუალური სარეგისტრაციო ნომრით.

7. რეესტრში აუდიტორის შესახებ უნდა იყოს შემდეგი ინფორმაცია:

ა) სახელი, გვარი, იურიდიული მისამართი, საქმიანობის ადგილი და სარეგისტრაციო ნომერი;

ბ) იმ აუდიტორული ფირმის დასახელება, მისამართი, ვებგვერდის მისამართი და სარეგისტრაციო ნომერი, რომელშიც დასაქმებულია აუდიტორი ან რომელშიც ის არის პარტნიორი/აქციონერი ან რომელთანაც სხვაგვარად არის დაკავშირებული;

გ) ინფორმაცია მისი სხვა ქვეყანაში აუდიტორად რეგისტრაციის შესახებ, მარეგისტრირებული ორგანოს დასახელებისა და სარეგისტრაციო ნომრის (ასეთის არსებობის შემთხვევაში) მითითებით;

დ) ის პროფესიული ორგანიზაცია, რომლის წევრიც არის აუდიტორი;

ე) ხარისხის მართვის სისტემის მონიტორინგის შედეგები;

ვ) ბოლო 3 წლის განმავლობაში აუდიტორული (არადაქირავებული) საქმიანობიდან მიღებული შემოსავლები;

ზ) პროფესიული პასუხისმგებლობის დაზღვევა, თანხისა და სადაზღვევო კომპანიის მითითებით.

8. რეესტრში აუდიტორული ფირმის შესახებ უნდა იყოს შემდეგი ინფორმაცია:

ა) სამართლებრივი ფორმა, დასახელება, მისამართი, ვებგვერდის მისამართი, საკონტაქტო ინფორმაცია და სარეგისტრაციო ნომერი;

ბ) იმ აუდიტორის/სერტიფიცირებული ბუღალტრის სახელი, გვარი და სარეგისტრაციო ნომერი, რომელიც აუდიტორულ ფირმაშია დასაქმებული ან მასში არის პარტნიორი/აქციონერი ან მმართველობითი ორგანოს წევრი ან სხვაგვარად არის მასთან დაკავშირებული, აგრეთვე აუდიტორულ ფირმაში დასაქმებულ თანამშრომელთა რაოდენობა;

გ) ხარისხის მართვის სისტემის მონიტორინგის შედეგები;

დ) არსებობის შემთხვევაში, იმ სდკ-ის დასახელება და საანგარიშგებო პერიოდი, რომელსაც ის უწევდა ან/და უწევს აუდიტორულ მომსახურებას;

ე) პარტნიორთა/აქციონერთა წილობრივი მონაწილეობა;

ვ) პროფესიული პასუხისმგებლობის დაზღვევა, თანხისა და სადაზღვევო კომპანიის მითითებით;

ზ) ბოლო 3 წლის განმავლობაში აუდიტორული საქმიანობიდან მიღებული შემოსავლები.

9. ამ მუხლის მე-8 პუნქტის „ე“ ქვეპუნქტით გათვალისწინებულ ინფორმაციას სამსახური იღებს საქართველოს იუსტიციის სამინისტროს მმართველობის სფეროში მოქმედი საჯარო სამართლის



იურიდიული პირისგან – საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოსგან.

10. სამსახური ადმინისტრაციულ აქტს, რომელიც აუდიტორს/აუდიტორულ ფირმას სანქციას აკისრებს, ძალაში შესვლისა და იმ სუბიექტის ინფორმირების შემდეგ, რომელსაც სანქცია დაეკისრა, დაუყოვნებლივ, არანაკლებ 5 წლის ვადით აქვეყნებს ვებგვერდზე, მხარეების მიერ ამ გადაწყვეტილების გასაჩივრების შესახებ ინფორმაციის (ასეთის არსებობის შემთხვევაში) მითითებით.

11. ამ მუხლის მე-10 პუნქტით გათვალისწინებულ შემთხვევაში სამსახური უფლებამოსილია საჯარო არ გახადოს ინფორმაცია, თუ ამით საფრთხეს შეუქმნის ქვეყნის ან/და მესამე პირის ინტერესებს. სამსახური უზრუნველყოფს ინფორმაციის შეფასებასა და ანალიზს და იღებს გადაწყვეტილებას მისი გამოქვეყნების მიზანშეწონილობის შესახებ.

12. რეესტრიდან ამონაწერი ქართულ ენაზე მზადდება.

[საქართველოს 2017 წლის 21 აპრილის კანონი №640 - ვებგვერდი, 10.05.2017წ.](#)

[საქართველოს 2022 წლის 1 დეკემბრის კანონი №2288 – ვებგვერდი, 13.12.2022წ.](#)

### **მუხლი 13. სარეგისტრაციო წარმოება**

1. საქართველოში რეგისტრირებული იურიდიული პირი, უცხოური საწარმოს ფილიალი და ფიზიკური პირი საქართველოში აუდიტის ჩატარების უფლებამოსილებას იძენენ რეესტრში რეგისტრაციის შემდეგ. აუდიტორის/აუდიტორული ფირმის რეესტრში დარეგისტრირების ან მისი რეგისტრაციის აღდგენის საფუძველია შესაბამისი პირის განცხადება და ამ კანონითა და მის საფუძველზე მიღებული კანონქვემდებარე ნორმატიული აქტებით დადგენილი მოთხოვნების შესრულება. სამსახური 10 სამუშაო დღის ვადაში ამოწმებს განცხადების ამ კანონითა და მის საფუძველზე მიღებული ნორმატიული აქტებით დადგენილ მოთხოვნებთან შესაბამისობას.

2. სამსახურისათვის წარდგენილ განცხადებას უნდა დაერთოს სამსახურის მიერ განსაზღვრული სარეგისტრაციო დოკუმენტაცია და ინფორმაცია. სამსახური უფლებამოსილია ყოველ კონკრეტულ შემთხვევაში დამატებით მოითხოვოს სარეგისტრაციო წარმოებასთან დაკავშირებული იმ დოკუმენტის ან ინფორმაციის წარმოდგენა, რომელიც აუცილებელია განცხადებით მოთხოვნილ საკითხზე გადაწყვეტილების მისაღებად.

3. პროფესიული ორგანიზაცია ვალდებულია სამსახურის მიერ მოთხოვნის შემთხვევაში წარუდგინოს მას ინფორმაცია/დოკუმენტი წევრის შესახებ.

4. რეესტრში რეგისტრაციით დაინტერესებული ფიზიკური პირი უნდა აკმაყოფილებდეს შემდეგ პირობებს:

ა) იყოს სერტიფიცირებული ბუღალტერი;

ბ) ჰქონდეს ფინანსური ანგარიშგების აუდიტის აუდიტორის ზედამხედველობით ჩატარების არანაკლებ 3-წლიანი პრაქტიკული გამოცდილება, რასაც წერილობით ადასტურებს ზედამხედველი აუდიტორი;

გ) არ იყოს ნასამართლავი ტერორიზმის დაფინანსებისათვის ან/და უკანონო შემოსავლის ლეგალიზაციისათვის ან სხვა ეკონომიკური დანაშაულისათვის, აგრეთვე სხვა მძიმე ან განსაკუთრებით მძიმე დანაშაულისათვის;

დ) იყოს პროფესიული ორგანიზაციის წევრი;

ე) არ ჰქონდეს დარღვეული პროფესიონალი ბუღალტრების ეთიკის კოდექსი (IESBA Code), რასაც ადასტურებს პროფესიული ორგანიზაცია ან ამ პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტით გათვალისწინებული აუდიტორი.

5. რეესტრში რეგისტრაციით დაინტერესებული იურიდიული პირი უნდა აკმაყოფილებდეს შემდეგ პირობებს:



ა) ახორციელებდეს აუდიტორულ საქმიანობას სულ მცირე 1 გარიგების პარტნიორის მეშვეობით;

ბ) აუდიტორულ ფირმაში 50%-ზე მეტი ხმის უფლებას ფლობდეს (ფლობდნენ) რეესტრში რეგისტრირებული აუდიტორი (აუდიტორები) ან/და აუდიტორული ფირმა ან/და ეკონომიკური განვითარებისა და თანამშრომლობის ორგანიზაციის (OECD) წევრ ქვეყნებში ან/და ევროკავშირის წევრი ქვეყნების აუდიტორულ რეესტრში რეგისტრირებული ფირმა ან/და ეკონომიკური განვითარებისა და თანამშრომლობის ორგანიზაციის (OECD) წევრ ქვეყნებსა და ევროკავშირის წევრ ქვეყნებში არსებული ბუღალტერთა საერთაშორისო ფედერაციის (IFAC) წევრი ორგანიზაციების წევრი ფიზიკური პირი (პირები);

გ) მმართველობითი ორგანოს წევრთა უმრავლესობა შედგებოდეს აუდიტორებისაგან. თუ მმართველობითი ორგანო 2 წევრისაგან შედგება, ერთ-ერთი მათგანი აუდიტორი უნდა იყოს;

დ) დაზღვეული ჰქონდეს პროფესიული პასუხისმგებლობა.

6. აუდიტორი/აუდიტორული ფირმა ვალდებულია რეესტრში ასახული ნებისმიერი ინფორმაციის ცვლილების შესახებ შეატყობინოს სამსახურსა და პროფესიულ ორგანიზაციას ცვლილების შეტანიდან არაუგვიანეს 5 სამუშაო დღისა.

6<sup>1</sup>. სამსახური უფლებამოსილია რეესტრში ასახული ინფორმაციის სისწორის გადამოწმების მიზნით პირისგან/აუდიტორისგან/აუდიტორული ფირმისგან გამოითხოვოს ინფორმაცია/დოკუმენტაცია. თავის მხრივ, პირი/აუდიტორი/აუდიტორული ფირმა ვალდებულია სამსახურს მიაწოდოს ამ პუნქტით გათვალისწინებული ინფორმაცია/დოკუმენტაცია.

7. აუდიტორი/აუდიტორული ფირმა, რომელიც არ აკმაყოფილებს რეესტრში რეგისტრაციის პირობებს, ექვემდებარება რეგისტრაციის გაუქმებას და კარგავს აუდიტის ჩატარების უფლებამოსილებას. რეგისტრაციის გაუქმებისთვის პასუხისმგებელია სამსახური მის მიერ განსაზღვრული წესის შესაბამისად. რეგისტრაციის გაუქმების შემთხვევაში აუდიტორს/აუდიტორულ ფირმას არ აქვს უფლება, თავის სახელწოდებაში გამოიყენოს სიტყვა „აუდიტორი“/სიტყვები „აუდიტორული ფირმა“.

8. სამსახური უფლებამოსილია სამსახურის მიერ დადგენილი წესით, საქართველოს სამართლის საკვალიფიკაციო ტესტის ჩაბარებისა და შესაბამისი მიმართვის საფუძველზე დაარეგისტრიროს რეესტრში ეკონომიკური განვითარებისა და თანამშრომლობის ორგანიზაციის (OECD) წევრ ქვეყნებსა და ევროკავშირის წევრ ქვეყნებში არსებული ბუღალტერთა საერთაშორისო ფედერაციის (IFAC) წევრი ორგანიზაციების წევრი ფიზიკური პირები, რომლებსაც აუდიტის საქართველოში ჩატარება სურთ. ამ პუნქტის შესაბამისად რეესტრში რეგისტრირებულ ფიზიკურ პირებზე რეგისტრაციის შემდეგ გავრცელდება ამ კანონითა და მის საფუძველზე მიღებული კანონქვემდებარე ნორმატიული აქტებით დადგენილი მოთხოვნები და შეზღუდვები.

9. ამ მუხლის მე-8 პუნქტით გათვალისწინებული შემთხვევის გარდა, სამსახური უფლებამოსილია დაადგინოს იმ სახელმწიფოთა ჩამონათვალი, რომელთა ბუღალტერთა საერთაშორისო ფედერაციის (IFAC) ნამდვილ წევრსაც ექნება რეესტრში დარეგისტრირების უფლება.

10. სამსახური უფლებამოსილია მიიღოს გადაწყვეტილება სარეგისტრაციო წარმოების შეჩერების შესახებ, თუ:

ა) განცხადებას არ ერთვის ან/და არასრულად არის წარმოდგენილი ამ კანონითა და მის საფუძველზე მიღებული ნორმატიული აქტებით განსაზღვრული დოკუმენტი ან/და ინფორმაცია, რომელიც აუცილებელია განცხადებით მოთხოვნილ საკითხზე გადაწყვეტილების მისაღებად;

ბ) არსებობს საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებული სხვა საფუძველები.

11. თუ განმცხადებელი სამსახურს არ წარუდგენს ამ კანონით ან მის საფუძველზე მიღებული ნორმატიული აქტით გათვალისწინებულ დოკუმენტს ან ინფორმაციას, რომელიც აუცილებელია აუდიტორის/აუდიტორული ფირმის რეგისტრაციისათვის, სარეგისტრაციო განაცხადის მიღებიდან 10 სამუშაო დღის ვადაში სამსახური განმცხადებელს განუსაზღვრავს არაუმეტეს 30-დღიან ვადას,



რომლის განმავლობაშიც მან დამატებითი დოკუმენტი ან ინფორმაცია უნდა წარადგინოს. სამსახური უფლებამოსილია, განმცხადებლის მოთხოვნით, ეს ვადა გააგრძელოს მხოლოდ ერთხელ, არაუმეტეს 15 დღით. ამ ვადის გასვლის შემდეგ სამსახური უფლებამოსილია მიიღოს გადაწყვეტილება სარეგისტრაციო წარმოების შეწყვეტის შესახებ.

12. სარეგისტრაციო წარმოების შეჩერების პერიოდში სარეგისტრაციო წარმოების შეჩერების საფუძვლის აღმოფხვრის დამადასტურებელი დოკუმენტის ან ინფორმაციის წარმოდგენის შემთხვევაში სამსახური იღებს გადაწყვეტილებას სარეგისტრაციო წარმოების განახლების შესახებ. სარეგისტრაციო წარმოების განახლების შემთხვევაში სარეგისტრაციო წარმოების ვადის ათვლა ხელახლა იწყება.

[საქართველოს 2019 წლის 26 ნოემბრის კანონი №5293 – ვებგვერდი, 04.12.2019წ.](#)

**მუხლი 13<sup>1</sup>. პროფესიული მომსახურების გამწევი ბუღალტრების სახელმწიფო რეესტრისა და საბუღალტრო ფირმების სახელმწიფო რეესტრის წარმოება, განგრძობითი განათლება**

1. პროფესიული მომსახურების გამწევი ბუღალტრების სახელმწიფო რეესტრისა და საბუღალტრო ფირმების სახელმწიფო რეესტრის ელექტრონული ფორმით წარმოების წესს, მათ სტრუქტურასა და ფორმას, მათში ასახული ინფორმაციის ნუსხას, მომხმარებელთა იდენტიფიცირების წესსა და მართვის დელეგირების წესს განსაზღვრავს სამსახური.

2. პროფესიული მომსახურების გამწევი ბუღალტრისა და საბუღალტრო ფირმისთვის განგრძობითი განათლების მიმართ მოთხოვნებს განსაზღვრავს სამსახური თავის მიერ დადგენილი წესით.

[3. ფიზიკური ან იურიდიული პირი, რომელიც პროფესიული მომსახურების ფარგლებში იწყებს ბუღალტრული აღრიცხვის წარმოებას ან/და ფინანსური ანგარიშგების მომზადებას, ვალდებულია საქმიანობის დაწყებიდან 1 თვის ვადაში დარეგისტრირდეს შესაბამის რეესტრში. (ამოქმედდეს 2023 წლის 1 ივლისიდან)]

[საქართველოს 2022 წლის 1 დეკემბრის კანონი №2288 – ვებგვერდი, 13.12.2022წ.](#)

## თავი V

### აუდიტორული მომსახურება და მისი ხარისხის უზრუნველყოფა

**მუხლი 14. აუდიტორული მომსახურების განხორციელების სამართლებრივი საფუძვლები**

1. საქართველოში აუდიტი ტარდება აუდიტის საერთაშორისო სტანდარტების (ISA) შესაბამისად. აუდიტის საერთაშორისო სტანდარტები (ISA) არის აუდიტისა და მარწმუნებელი მომსახურების საერთაშორისო საბჭოს (IAASB) მიერ ან მისი უფლებამონაცვლე ორგანოს მიერ მიღებული აუდიტის საერთაშორისო სტანდარტები, რომლებსაც მოიცავს ამ ორგანოს და მარწმუნებელი გარიგებების საერთაშორისო ოფიციალური დოკუმენტების ცნობარი.

2. აუდიტის გარდა, სხვა აუდიტორული მომსახურების (მიმოხილვა, სხვა მარწმუნებელი გარიგება და დაკავშირებული მომსახურება) განხორციელებისას აუდიტორი/აუდიტორული ფირმა იყენებს აუდიტისა და მარწმუნებელი მომსახურების საერთაშორისო საბჭოს (IAASB) მიერ ან მისი უფლებამონაცვლე ორგანოს მიერ მიღებული და დამტკიცებული მიმოხილვისა და დაკავშირებული მომსახურების, აგრეთვე სხვა მარწმუნებელი გარიგების საერთაშორისო სტანდარტებს.

3. ამ მუხლის პირველი და მე-2 პუნქტებით გათვალისწინებული საერთაშორისო სტანდარტების სამოქმედოდ შემოღებას უზრუნველყოფს სამსახური მათი განახლებიდან 6 თვის ვადაში. აუდიტორს/აუდიტორულ ფირმას უფლება აქვს, გამოიყენოს ამ სტანდარტების მოქმედი (ინგლისურენოვანი) რედაქცია.

4. სდკ-ის ფინანსური ანგარიშგების აუდიტის პროცესისა და პროცედურების მიმართ დამატებითი მოთხოვნები დგინდება სამსახურის უფროსის ბრძანებით, გარდა ამ კანონის მე-15 მუხლის მე-3 პუნქტით გათვალისწინებული შემთხვევისა.



5. სდპ-ის ფინანსური ანგარიშგების აუდიტის სამსახურის მიერ დადგენილი წესით განხორციელების უფლებამოსილება აქვს იმ აუდიტორულ ფირმას, რომელმაც გაიარა შესაბამისი ხარისხის მართვის სისტემის მონიტორინგი.

6. აუდიტორი/აუდიტორული ფირმა, რომელიც აუდიტორულ მომსახურებას უწევს საჯარო სამართლის იურიდიულ პირს, მუნიციპალიტეტის ორგანოსა და სხვა პირს, რომელთათვისაც შესაბამისი კანონმდებლობით დადგენილია ფინანსური ანგარიშგების აუდიტის ან საქმიანობის დამოუკიდებელი აუდიტის ჩატარების მოთხოვნა, ვალდებულია აუდიტორული მომსახურების გაწევისას ამ კანონით დადგენილი მოთხოვნებით იხელმძღვანელოს.

7. იმ ხელშეკრულებით, რომლის მხარეც არის ქონების მმართველი, განსაზღვრული ვალდებულებების შესრულებასთან დაკავშირებული აუდიტორული საქმიანობის (მომსახურების) განხორციელების უფლებამოსილება აქვს იმ აუდიტორულ ფირმას, რომელმაც გაიარა სდპ-ის ფინანსური ანგარიშგების აუდიტის განხორციელებისთვის მოთხოვნილი, ამ მუხლის მე-5 პუნქტით გათვალისწინებული შესაბამისი ხარისხის მართვის სისტემის მონიტორინგი, სამსახურის მიერ დადგენილი წესით.

8. ამ მუხლის მე-7 პუნქტით გათვალისწინებული აუდიტორული მომსახურების მიმართ მოთხოვნებს საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს წარდგინებით ადგენს საქართველოს მთავრობა.

9. საქართველოს მთავრობა უფლებამოსილია საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს წარდგინებით, ამ მუხლის მე-7 პუნქტით გათვალისწინებული აუდიტორული მომსახურების განმახორციელებელი აუდიტორული ფირმებისათვის დამატებითი ან განსხვავებული მოთხოვნები დაადგინოს. ამგვარი მოთხოვნების შესაბამისი ინფორმაციის რეესტრში ასახვას უზრუნველყოფს სამსახური.

[საქართველოს 2020 წლის 15 ივლისის კანონი №7014-რს – ვებგვერდი, 28.07.2020წ.](#)

[საქართველოს 2022 წლის 1 დეკემბრის კანონი №2288 – ვებგვერდი, 13.12.2022წ.](#)

## **მუხლი 15. აუდიტის ჩატარების წესი**

1. აუდიტი შეიძლება ჩატარდეს ამ კანონის მე-6 მუხლის პირველი პუნქტით გათვალისწინებული წესით ან სუბიექტის ინიციატივით.

2. აუდიტორულ დასკვნას ხელმოწერით ადასტურებს გარიგების პარტნიორი ან/და აუდიტორული ფირმის მიერ უფლებამოსილი პირი. აუდიტორული ფირმის შიდა პროცედურით შესაძლებელი უნდა იყოს გარიგების პარტნიორის იდენტიფიცირება.

3. სდპ-ის, პირველი და მეორე კატეგორიების საწარმოების/ჯგუფების ფინანსური ანგარიშგების აუდიტი ტარდება ყოველი საანგარიშგებო პერიოდისთვის, თუ საქართველოს კანონმდებლობით სხვა რამ არ არის დადგენილი. სამსახური შესაბამის მარეგულირებელ ორგანოსთან/საზედამხედველო ორგანოსთან ერთად ადგენს, სდპ-ის აუდიტის პროცესისა და პროცედურების მიმართ ამ კანონით დადგენილი მოთხოვნების გარდა, საქმიანობის/დარგის სპეციფიკიდან გამომდინარე დამატებით მოთხოვნებს, რომლებიც დამატებით ექვემდებარება ხარისხის მართვის სისტემის მონიტორინგს.

4. აუდიტორი/აუდიტორული ფირმა ვალდებულია აუდიტის პროცესში შედგენილი და გამოყენებული, ელექტრონული ან/და მატერიალური ფორმით არსებული დოკუმენტები შეინახოს შესაბამისი საანგარიშგებო პერიოდის დასრულებიდან 6 წლის განმავლობაში.

5. აუდიტის შესაბამისი საერთაშორისო სტანდარტის მოთხოვნების გათვალისწინებით, აუდიტორული დასკვნა არ უნდა მოიცავდეს რწმუნებას სუბიექტის სამომავლო სიცოცხლისუნარიანობის ან/და სუბიექტის მმართველობითი ორგანოს საქმიანობის ეფექტიანად განხორციელების შესახებ.

6. აუდიტორმა/აუდიტორულმა ფირმამ უნდა გამოიჩინოს პროფესიული სკეპტიციზმი. მან მიმანიშნებელი ფაქტებისა და ქმედების საფუძველზე უნდა ცნოს სუბიექტის მიერ არსებითი სამართალდარღვევის (მათ შორის, თაღლითობის ან შეცდომის) დაშვების შესაძლებლობა. ამ შემთხვევაში არ უნდა იქნეს გათვალისწინებული მმართველობისა და მმართველობისთვის



პასუხისმგებელი პირების კეთილსინდისიერებასთან დაკავშირებით აუდიტორის/აუდიტორული ფირმის გამოცდილება. აუდიტორმა/აუდიტორულმა ფირმამ აუდიტის დროს განსაკუთრებული ყურადღება უნდა მიაქციოს სუბიექტის ხელმძღვანელობის მიერ შეფასებული სამართლიანი ღირებულების, აქტივების გაუფასურების, რეზერვის, ანარიცხებისა და სამომავლო ფულადი ნაკადების შესახებ ინფორმაციას, რომელიც დაკავშირებულია სუბიექტის მიერ საქმიანობის გაგრძელების შესაძლებლობასთან.

[საქართველოს 2022 წლის 1 დეკემბრის კანონი №2288 – ვებგვერდი, 13.12.2022წ.](#)

## **მუხლი 16. ეთიკის წესები და დამოუკიდებლობა**

1. სერტიფიცირებული ბუღალტერი/აუდიტორი/აუდიტორული ფირმა ვალდებულია პროფესიული მომსახურების განხორციელებისას დაიცვას ბუღალტერთა საერთაშორისო ფედერაციის (IFAC) მიერ დადგენილი პროფესიონალი ბუღალტრების ეთიკის კოდექსი (IESBA Code) (შემდგომ – პროფესიული ეთიკის კოდექსი).

2. პროფესიული ეთიკის კოდექსის სამოქმედოდ შემოღებას უზრუნველყოფს სამსახური მისი განახლებიდან 6 თვის ვადაში. სერტიფიცირებულ ბუღალტერს/აუდიტორს/აუდიტორულ ფირმას უფლება აქვს, გამოიყენოს ამ კოდექსის მოქმედი (ინგლისურენოვანი) რედაქცია.

3. აუდიტორი/აუდიტორული ფირმა, აგრეთვე ფიზიკური პირი, რომელმაც შეიძლება პირდაპირი ან არაპირდაპირი გავლენა მოახდინოს აუდიტორული მომსახურების შედეგებზე, იმ სუბიექტისაგან დამოუკიდებელი უნდა იყოს, რომელსაც იგი აუდიტორულ მომსახურებას უწევს. ამასთანავე, იგი არ უნდა მონაწილეობდეს ამ სუბიექტის მიერ გადაწყვეტილებების მიღების პროცესში. ეს მოთხოვნა მოქმედებს ფინანსური ანგარიშგების საანგარიშგებო პერიოდსა და აუდიტორული მომსახურების განხორციელების პერიოდში.

4. აუდიტორული ფირმის პარტნიორები/აქციონერები, აგრეთვე აუდიტორული ფირმისა და მასთან დაკავშირებული საწარმოს მმართველობითი ორგანოს და სამეთვალყურეო საბჭოს წევრები ისე არ უნდა ჩაერიონ აუდიტორული მომსახურების პროცესში, რომ გარიგების პარტნიორის დამოუკიდებლობასა და ობიექტურობას საფრთხე შეექმნას.

5. აუდიტორული მომსახურების განხორციელებისას აუდიტორმა/აუდიტორულმა ფირმამ უნდა მიიღოს ყველა საჭირო ზომა დამოუკიდებლობის უზრუნველსაყოფად. აუდიტორმა/აუდიტორულმა ფირმამ წერილობით ან ელექტრონულად უნდა ასახოს ინფორმაცია იმ რისკების შესახებ, რომლებიც საფრთხეს უქმნის მის დამოუკიდებლობას, და მათი შემცირებისათვის გამოყენებული მეთოდების თაობაზე.

6. დაუშვებელია, სუბიექტისათვის აუდიტორული მომსახურების გარდა, სხვა პროფესიული მომსახურების გაწევა განსაზღვრავდეს ან გავლენას ახდენდეს აუდიტორული მომსახურების ანაზღაურებაზე. აუდიტორული მომსახურების ანაზღაურებას არ უნდა განსაზღვრავდეს რაიმე სახის პირობა ან/და გარემოება.

7. აუდიტორს/აუდიტორულ ფირმას არ აქვს უფლება, სუბიექტისაგან და მისი თანამშრომლისაგან მიიღოს ან მათ გადასცეს მატერიალური ან/და არამატერიალური საჩუქარი ან/და სარგებელი, რომლის ღირებულება შეიძლება აღქმულ იქნეს იმ ზღვრის გადაჭარბებად, რომელიც დასაშვებია საქმიანობის პრაქტიკისა და კონკრეტული გარიგებისათვის. აუდიტორს/აუდიტორულ ფირმას დამტკიცებული უნდა ჰქონდეს დამკვეთებთან ურთიერთობაში ჩუქების პოლიტიკა, რომელიც შეესაბამება პროფესიული ეთიკის კოდექსს.

8. აუდიტორს/აუდიტორულ ფირმას არ აქვს უფლება, სუბიექტს გაუწიოს აუდიტორული მომსახურება იმ შემთხვევაში, თუ არსებობს სუბიექტსა და აუდიტორს/აუდიტორულ ფირმას, მის სისტემაში არსებულ პირებსა და იმ ფიზიკურ პირს შორის, რომელმაც შესაძლოა პირდაპირი ან არაპირდაპირი გავლენა მოახდინოს აუდიტორული მომსახურების შედეგებზე, ფინანსური, პიროვნული, საქმიანი, შრომითი ურთიერთობით ან/და სხვა არსებული ან შესაძლო სამომავლო ურთიერთობით გამოწვეული ინტერესთა შეუთავსებლობის ან მუქარის გამოყენების საშიშროება, რომლის საფუძველზედაც ობიექტურმა, ინფორმირებულმა და გონიერმა მესამე პირმა შეიძლება დაასკვნას, რომ



აუდიტორის/აუდიტორული ფირმის დამოუკიდებლობას საფრთხე ექმნება.

8<sup>1</sup>. აუდიტორს არ აქვს უფლება, შეასრულოს მედიატორის ფუნქცია, თუ იგი იმავე საქმეზე ან ამ საქმესთან არსებითად დაკავშირებულ სხვა საქმეზე აუდიტორულ მომსახურებას უწევს/უწევდა მედიაციის მხარეს.

9. ამ მუხლის მიზნებისათვის ფინანსურ ურთიერთობად ჩაითვლება აუდიტორის/აუდიტორული ფირმისა და ამ მუხლის მე-8 პუნქტით განსაზღვრული პირის მიერ იმ სუბიექტის წილების/აქციების, სხვა ფასიანი ქაღალდებისა და ფინანსური ინსტრუმენტების ფლობა, რომელსაც ის აუდიტორულ მომსახურებას უწევს, ან რომლის ფინანსურ შედეგებზე გავლენის მოხდენა სხვა საშუალებებით შეუძლია, გარდა საინვესტიციო ფონდის შუამავლობით არსებითი არაპირდაპირი ფლობისა. ფინანსურ ურთიერთობად ჩაითვლება ასევე ამ სუბიექტთან დაკავშირებული სხვა სუბიექტის წილების/აქციების, სხვა ფასიანი ქაღალდებისა და ფინანსური ინსტრუმენტების ფლობა, თუკი აღნიშნულმა შეიძლება ინტერესთა შეუთავსებლობა გამოიწვიოს.

10. ბუღალტრული აღრიცხვის საკითხებთან დაკავშირებით აზრთა სხვადასხვაობა არ შეიძლება იყოს აუდიტორთან/აუდიტორულ ფირმასთან სუბიექტის მიერ სახელშეკრულებო ურთიერთობის შეწყვეტის საფუძველი. აუდიტორს/აუდიტორულ ფირმას და სუბიექტს შორის სახელშეკრულებო ურთიერთობის შეწყვეტის მიზეზი და საფუძველები წერილობით უნდა იყოს დასაბუთებული.

11. აუდიტორს/გარიგების პარტნიორს ეკრძალება, აუდიტორული მომსახურების განხორციელების დამთავრებიდან 1 წლის განმავლობაში, სდპ-ის შემთხვევაში – 2 წლის განმავლობაში გახდეს:

ა) იმ სუბიექტის მმართველობითი ორგანოს მნიშვნელოვანი წევრი, რომელსაც აუდიტორული მომსახურება გაეწია;

ბ) იმ სუბიექტის აუდიტის კომიტეტის წევრი ან მსგავსი ფუნქციების მქონე ორგანოს წევრი, რომელსაც აუდიტორული მომსახურება გაეწია;

გ) იმ სუბიექტის სამეთვალყურეო საბჭოს წევრი, რომელსაც აუდიტორული მომსახურება გაეწია.

12. ამ მუხლის მე-11 პუნქტის მოთხოვნები ვრცელდება აუდიტორის/აუდიტორული ფირმის დასაქმებულზე, აუდიტორული ფირმის პარტნიორზე/აქციონერზე და იმ ფიზიკურ პირზე, რომლის საქმიანობაც ექვემდებარება აუდიტორის/აუდიტორული ფირმის მართვას/კონტროლს, თუკი ისინი არიან აუდიტორები, მათ მიერ აუდიტორის ფუნქციების განხორციელების დამთავრებიდან 1 წლის განმავლობაში.

13. საანგარიშგებო პერიოდში სუბიექტის სხვა სუბიექტთან შერწყმის (გაერთიანების, მიერთების) შემთხვევაში აუდიტორმა/აუდიტორულმა ფირმამ უნდა შეაფასოს შერწყმის (გაერთიანების, მიერთების) შედეგად წარმოქმნილ სუბიექტთან დაკავშირებული ინტერესები და ურთიერთობები, რომლებმაც აუდიტორის/აუდიტორული ფირმის დამოუკიდებლობას შეიძლება საფრთხე შეუქმნას. აუდიტორმა/აუდიტორულმა ფირმამ დაუყოვნებლივ, მაგრამ აღნიშნული შედეგის დადგომიდან არაუგვიანეს 3 თვისა, უნდა მიიღოს ყველა საჭირო ზომა ინტერესთა შეუთავსებლობის აღმოფხვრისათვის ან იმ ურთიერთობების შეწყვეტისათვის, რომლებიც საფრთხეს უქმნის მის დამოუკიდებლობას.

14. აუდიტორი/აუდიტორული ფირმა ვალდებულია აუდიტორული მომსახურების განხორციელების დაწყებამდე ან გაგრძელებამდე შეამოწმოს და წერილობით ან ელექტრონულად ასახოს და დაადასტუროს ინფორმაცია:

ა) მის მიერ დამოუკიდებლობის მოთხოვნების შესრულების შესახებ;

ბ) იმ რისკების შესახებ, რომლებიც საფრთხეს უქმნის მის დამოუკიდებლობას, და მათი შემცირებისათვის მიღებული ზომების თაობაზე;

გ) კვალიფიციური დასაქმებულების, დროისა და რესურსების არსებობის შესახებ, რომლებიც საჭიროა სათანადო ხარისხის აუდიტორული მომსახურების განსახორციელებლად;



დ) გარიგების პარტნიორის რეესტრში რეგისტრაციის შესახებ – აუდიტორული ფირმის შემთხვევაში.

15. სდპ-ის ფინანსური ანგარიშგების აუდიტის გარიგება შეიძლება დაიდოს არანაკლებ 2 წლით და არაუმეტეს 10 წლით. სდპ-ის პარტნიორთა/აქციონერთა კრების გადაწყვეტილებით ჩატარებულ საჯარო ტენდერში გამარჯვების შემთხვევაში 10-წლიანი ვადა შესაძლებელია დამატებით 10 წლით გაგრძელდეს. კანონით დადგენილი ვადების გასვლის შემდეგ აუდიტორულ ფირმასთან ხელახალი გარიგება შეიძლება დაიდოს არანაკლებ 4-წლიანი ვადის გასვლის შემდეგ. ამ წესის დარღვევის შემთხვევაში აუდიტის ჩატარების მოთხოვნა შეუსრულებლად ჩაითვლება. აუდიტორულმა ფირმამ უნდა უზრუნველყოს გარიგების პარტნიორისა და სხვა საკვანძო პერსონალის შიდა როტაცია არანაკლებ 7 წელიწადში ერთხელ, თითოეული სდპ-ის მიმართ, რომელსაც ის ემსახურება.

16. ამ მუხლის მოთხოვნების შეუსრულებლობის შემთხვევაში აუდიტორს/აუდიტორულ ფირმას სამსახური დააკისრებს პასუხისმგებლობას ამ კანონით დადგენილი წესით. აუდიტის ჩატარებისას ამ მუხლის მე-8, მე-11, მე-12 და მე-15 პუნქტების მოთხოვნების შეუსრულებლობის შემთხვევაში სუბიექტი შესაბამისი საანგარიშგებო პერიოდისთვის განმეორებითი აუდიტის ჩატარებას უზრუნველყოფს, ხოლო სუბიექტისთვის საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი ვადები, გარდა ამ მუხლის მე-11 პუნქტით გათვალისწინებული შემთხვევებისა, დაცულად ითვლება. განმეორებითი აუდიტის ჩატარების ვადებს განსაზღვრავს სამსახური.

[საქართველოს 2019 წლის 18 სექტემბრის კანონი №4959 – ვებგვერდი, 27.09.2019წ.](#)

### **მუხლი 17. პროფესიული პასუხისმგებლობის დაზღვევა**

აუდიტორი/აუდიტორული ფირმა, რომელიც თავისი სახელით ახორციელებს აუდიტორულ საქმიანობას, ვალდებულია სუბიექტის მიერ ამ კანონით დადგენილი მოთხოვნების შეუსრულებლობით გამოწვეული შესაძლო მატერიალური ზიანის ანაზღაურების მიზნით დააზღვიოს თავისი პროფესიული პასუხისმგებლობა არანაკლებ 100 000 ლარის ოდენობით. პროფესიული პასუხისმგებლობის დაზღვევის წესს საჯარო სამართლის იურიდიულ პირთან – საქართველოს დაზღვევის სახელმწიფო ზედამხედველობის სამსახურთან შეთანხმებით ადგენს სამსახური.

### **მუხლი 18. ინფორმაციის კონფიდენციალურობა**

1. აუდიტორის/აუდიტორული ფირმის მიერ პროფესიული მომსახურების განხორციელებისას მიღებული ინფორმაცია კონფიდენციალური ინფორმაციაა.

2. აუდიტორი/აუდიტორული ფირმა ვალდებულია:

ა) დაიცვას ინფორმაციის კონფიდენციალურობა როგორც პროფესიული მომსახურების განხორციელების პროცესში, ისე მის შემდეგ, დროის გასვლისა და საქმიანობის შეცვლის მიუხედავად;

ბ) სუბიექტის თანხმობის გარეშე არ გაამჟღავნოს ამ სუბიექტის შესახებ მასთან არსებული კონფიდენციალური ინფორმაცია, გარდა საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებული შემთხვევებისა.

3. აუდიტორის/აუდიტორული ფირმის შეცვლის შემთხვევაში წინა აუდიტორს/აუდიტორულ ფირმას უფლება აქვს, დამკვეთი სუბიექტის თანხმობით მომდევნო აუდიტორს/აუდიტორულ ფირმას გადასცეს შესაბამისი ინფორმაცია იმ სუბიექტის შესახებ, რომელსაც აუდიტი ჩაუტარა.

4. ამ მუხლის მოქმედება ვრცელდება აგრეთვე ხარისხის მართვის სისტემის მონიტორინგის განმახორციელებელ პირზე მის მიერ შესაბამისი უფლებამოსილების განხორციელებისას მიღებულ ინფორმაციასთან დაკავშირებით.

[საქართველოს 2022 წლის 1 დეკემბრის კანონი №2288 – ვებგვერდი, 13.12.2022წ.](#)

### **მუხლი 19. ხარისხის უზრუნველყოფა**





1. აუდიტორი/აუდიტორული ფირმა ვალდებულია ჰქონდეს საკუთარი ხარისხის მართვის სისტემის სათანადო პოლიტიკა და პროცედურები ხარისხის მართვის საერთაშორისო სტანდარტების (ISQM) შესაბამისად.

2. ხარისხის მართვის საერთაშორისო სტანდარტები არის აუდიტისა და მარწმუნებელი მომსახურების საერთაშორისო საბჭოს (IAASB) მიერ ან მისი უფლებამონაცვლე ორგანოს მიერ მიღებული სტანდარტები და მითითებები იმ პირთა ხარისხის მართვის სისტემის შესახებ, რომლებიც ატარებენ აუდიტს და ახორციელებენ ფინანსური ანგარიშგების მიმოხილვას, აგრეთვე სხვა მარწმუნებელ გარიგებას და დაკავშირებულ მომსახურებას.

3. ამ მუხლის მე-2 პუნქტით გათვალისწინებული სტანდარტების სამოქმედოდ შემოღებას უზრუნველყოფს სამსახური მათი განახლებიდან 6 თვის ვადაში. აუდიტორს/აუდიტორულ ფირმას უფლება აქვს, გამოიყენოს ამ სტანდარტების მოქმედი (ინგლისურენოვანი) რედაქცია.

4. აუდიტორი/აუდიტორული ფირმა ვალდებულია შეიმუშაოს აუდიტისა და სხვა აუდიტორული მომსახურების სახელმძღვანელო და ჩამოაყალიბოს პერსონალის კვალიფიკაციის ამდლების, მისი განვითარების, მეთვალყურეობისა და საქმიანობის შეფასების შესაბამისი პოლიტიკა და პროცედურები. აღნიშნული სახელმძღვანელო განსაზღვრავს აუდიტორის/აუდიტორული ფირმის საქმიანობის სათანადო პოლიტიკასა და პროცედურებს.

5. აუდიტორმა/აუდიტორულმა ფირმამ ადეკვატური სისტემები და პროცედურები უნდა გამოიყენოს მისი საქმიანობის უწყვეტობისა და შეუფერხებლობის უზრუნველსაყოფად.

6. ხარისხის მართვის სისტემის მონიტორინგის განხორციელების წესს განსაზღვრავს და წინასწარი შედეგების განხილვის, გამოვლენილი ხარვეზების აღმოფხვრისა და ხარისხის მართვის სისტემის მონიტორინგის ანგარიშის გასაჩივრების პროცედურებს ადგენს სამსახური.

7. აუდიტორის/აუდიტორული ფირმის ხარისხის მართვის სისტემის მონიტორინგს ახორციელებს სამსახური. სამსახური უფლებამოსილია ხარისხის მართვის სისტემის მონიტორინგი რისკზე დამყარებული მიდგომის საფუძველზე განახორციელოს. ამასთანავე, სამსახური უფლებამოსილია ხარისხის მართვის სისტემის მონიტორინგი წარმოდგენილი განცხადების ან/და საჩივრის საფუძველზე განახორციელოს. ხარისხის მართვის სისტემის მონიტორინგი აუდიტორის/აუდიტორული ფირმის საქმიანობის მოცულობისა და სირთულის ადეკვატური უნდა იყოს.

7<sup>1</sup>. სამსახური უფლებამოსილია ხარისხის მართვის სისტემის მონიტორინგის ეფექტიანად განხორციელების მიზნით პირისგან/ აუდიტორისგან/აუდიტორული ფირმისგან გამოითხოვოს ინფორმაცია/ დოკუმენტაცია (მატერიალური ფორმით ან/და ელექტრონული ფორმით). ამ პუნქტით გათვალისწინებული ინფორმაცია/დოკუმენტაცია განისაზღვრება სამსახურის მიერ დადგენილი წესით.

8. აუდიტორის/აუდიტორული ფირმის ინიციატივით ხარისხის მართვის სისტემის მონიტორინგის განხორციელების მოთხოვნის შესახებ განცხადებას სამსახური განიხილავს მისი წარდგენიდან 10 სამუშაო დღის ვადაში. სამსახური ვალდებულია ამ მოთხოვნის დაკმაყოფილების შესახებ გადაწყვეტილების მიღებიდან არაუგვიანეს 2 კვირისა დაიწყოს ხარისხის მართვის სისტემის მონიტორინგი.

9. ხარისხის მართვის სისტემის მონიტორინგი, გარდა ამ მუხლის მე-7 პუნქტით გათვალისწინებული შემთხვევისა, უნდა განხორციელდეს არაუმეტეს 6 წელიწადში ერთხელ აუდიტორისთვის/აუდიტორული ფირმისთვის და არაუმეტეს 3 წელიწადში ერთხელ იმ აუდიტორისთვის/აუდიტორული ფირმისთვის, რომელიც სდპ-ისა და პირველი კატეგორიის საწარმოს აუდიტს ატარებს.

10. ის აუდიტორული ფირმა, რომელიც აპირებს ჩაატაროს სდპ-ის ფინანსური ანგარიშგების აუდიტი, ამასთანავე, გავლილი აქვს ხარისხის მართვის სისტემის მონიტორინგი, მაგრამ არ აქვს ჩატარებული სდპ-ის აუდიტი, ვალდებულია აუდიტორული საქმიანობის (მომსახურების) განხორციელების შესახებ ხელშეკრულების გაფორმებამდე მიმართოს სამსახურს ხარისხის მართვის სისტემის მონიტორინგის განხორციელების მოთხოვნით. სამსახური ხარისხის მართვის სისტემის მონიტორინგის



განხორციელების შესახებ გადაწყვეტილებას იღებს მიმართვიდან 5 სამუშაო დღის ვადაში. სამსახურისთვის მიმართვის ფორმას ადგენს სამსახური.

11. სამსახური აუდიტორის/აუდიტორული ფირმის ხარისხის მართვის სისტემის მონიტორინგს ახორციელებს ისეთი პირის მეშვეობით, რომელსაც საქმიანობის დაწყებამდე სულ მცირე ბოლო უწყვეტი 1 წლის განმავლობაში არ განუხორციელებია აუდიტორული საქმიანობა (მომსახურება), აუდიტორულ ფირმაში არ ჰქონია ხმის უფლება, დასაქმებული არ ყოფილა აუდიტორულ ფირმაში მმართველობითი ორგანოს ან საზედამხედველო ორგანოს წევრად და არც სხვაგვარად ყოფილა აუდიტორულ ფირმასთან დაკავშირებული, არ არის დაინტერესებული ხარისხის მართვის სისტემის მონიტორინგის შედეგებით და აკმაყოფილებს სამსახურის მიერ დადგენილ საკვალიფიკაციო მოთხოვნებს.

12. პირს ეკრძალება ხარისხის მართვის სისტემის მონიტორინგის განხორციელება, თუ იგი იყო იმ აუდიტორის/აუდიტორული ფირმის პარტნიორი/აქციონერი, გარიგების პარტნიორი, დასაქმებული ან მასთან სხვაგვარად დაკავშირებული პირი, რომლის ხარისხის მართვის სისტემის მონიტორინგიც ხორციელდება, ამ ურთიერთობის დასრულებიდან 3 წლის განმავლობაში.

13. ხარისხის მართვის სისტემის მონიტორინგის განხორციელებისას სამსახური უფლებამოსილია მონიტორინგის პროცესში ჩართოს შესაბამისი სფეროს ექსპერტები და დამხმარე პერსონალი.

14. ხარისხის მართვის სისტემის მონიტორინგთან დაკავშირებით სამსახურის მიერ მოთხოვნილი ინფორმაციის სრულად მიღებიდან 1 თვის ვადაში სამსახური წარადგენს წინასწარ შედეგებს. ხარისხის მართვის სისტემის მონიტორინგის საბოლოო შედეგები აისახება სამსახურის მიერ დადგენილი ფორმით მომზადებულ ხარისხის მართვის სისტემის მონიტორინგის ანგარიშში. სამსახური განიხილავს მონიტორინგის ანგარიშს და იღებს გადაწყვეტილებას აუდიტორისთვის/აუდიტორული ფირმისთვის ან/და გარიგების პარტნიორისთვის შესაბამისი მოთხოვნების დადგენის ან/და დაკმაყოფილების ან/და მისთვის პასუხისმგებლობის დაკისრების შესახებ. აუდიტორის/აუდიტორული ფირმის ხარისხის მართვის სისტემის მონიტორინგის შედეგების შესახებ სამსახურის გადაწყვეტილება შესაძლებელია გასაჩივრდეს საბჭოსა და სასამართლოში.

15. აუდიტორი/აუდიტორული ფირმა, გარიგების პარტნიორი, აუდიტორულ ფირმაში დასაქმებული სერტიფიცირებული ბუღალტერი უფლებამოსილია პირადად ან/და წარმომადგენლის მეშვეობით მიიღოს მონაწილეობა მის მიმართ შედგენილი ხარისხის მართვის სისტემის მონიტორინგის ანგარიშის განხილვაში და წარადგინოს ახსნა-განმარტება.

16. თუ ხარისხის მართვის სისტემის მონიტორინგის შედეგები დამაკმაყოფილებელი არ არის და აუდიტორი/აუდიტორული ფირმა ან/და გარიგების პარტნიორი სამსახურის მიერ განსაზღვრულ ვადაში ვერ შეასრულებს სამსახურის მიერ მიცემულ რეკომენდაციებს, სამსახური ვალდებულია ასეთი აუდიტორის/აუდიტორული ფირმის მიმართ ან/და კონკრეტულ აუდიტორულ დასკვნაზე – შესაბამისი გარიგების პარტნიორის მიმართ გამოიყენოს პასუხისმგებლობის ზომები ამ კანონით დადგენილი წესით.

17. აუდიტორის ხარისხის მართვის სისტემის მონიტორინგის შედეგად გამოვლენილი დარღვევებისთვის პასუხისმგებლობა აუდიტორს ეკისრება. აუდიტორული ფირმის ხარისხის მართვის სისტემის მონიტორინგის შედეგად გამოვლენილი დარღვევებისთვის პასუხისმგებლობა ეკისრება აუდიტორულ ფირმას ან/და კონკრეტულ აუდიტორულ დასკვნაზე – შესაბამისი გარიგების პარტნიორს.

18. მარეგულირებელი/საზედამხედველო ორგანო ვალდებულია ითანამშრომლოს სამსახურთან სუბიექტების მიერ წარდგენილი აუდიტირებული ანგარიშგებების სანდოობის ხარისხის ამაღლების უზრუნველსაყოფად.

19. ამ მუხლის მე-16 პუნქტით გათვალისწინებულ შემთხვევაში სამსახური უფლებამოსილია აუდიტირებულ ანგარიშგებაში აღმოჩენილი ხარვეზების აღმოფხვრისა და მასთან დაკავშირებული საკითხების გადაწყვეტის მიზნით გასცეს მითითებები და მიიღოს განმარტებები აუდიტორისაგან/აუდიტორული ფირმისაგან და გარიგების პარტნიორისაგან.

20. ხარისხის მართვის სისტემის მონიტორინგის შედეგები საჯაროა. ეს შედეგები შესაბამისი



გადაწყვეტილების მიღებიდან 5 სამუშაო დღის ვადაში აისახება რეესტრში.

21. სამსახური ყოველწლიურად აქვეყნებს აუდიტის ხარისხის მდგომარეობის შესახებ საერთო ანგარიშს.

[საქართველოს 2019 წლის 26 ნოემბრის კანონი №5293 – ვებგვერდი, 04.12.2019წ.](#)

[საქართველოს 2022 წლის 1 დეკემბრის კანონი №2288 – ვებგვერდი, 13.12.2022წ.](#)

## თავი VI

### სამსახურის ორგანიზება და ხელმძღვანელობა.

#### საბჭოს უფლებამოსილებები

#### მუხლი 20. სამსახურის ორგანიზება და ხელმძღვანელობა

1. სამსახური არის სამინისტროს სისტემაში შემავალი სახელმწიფო საქვეუწყებო დაწესებულება. იგი პასუხისმგებელია საქართველოს მთავრობისა და საქართველოს ფინანსთა მინისტრის წინაშე.

2. სამსახურის ორგანიზება განისაზღვრება სამსახურის დებულებით, რომელიც მტკიცდება [საქართველოს ფინანსთა მინისტრის ბრძანებით](#).

3. სამსახური უზრუნველყოფს:

ა) ამ კანონით გათვალისწინებული, გამოსაყენებლად სავალდებულო საერთაშორისო სტანდარტებისა და სხვა ნორმების ქართულ ენაზე სამოქმედოდ შემოღებას და მეოთხე კატეგორიის საწარმოებისათვის და არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირებისათვის ფინანსური ანგარიშგების სტანდარტების დადგენას;

ბ) ანგარიშგებების მომზადებისა და წარდგენის წესების განსაზღვრას, ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის სფეროებში ერთიანი პოლიტიკის და სხვა სამართლებრივი აქტების შემუშავებას, სუბიექტისათვის სდკ-ის სტატუსის მინიჭებას, სდკ-ის ფინანსური ანგარიშგების აუდიტის პროცესისა და პროცედურების მიმართ დამატებითი მოთხოვნებისა და წესების განსაზღვრას, მათ შორის, შესაბამის მარეგულირებელ/საზედამხედველო ორგანოსთან ერთად;

გ) აუდიტორული საქმიანობის განსახორციელებლად შესაბამისი წესებისა და მოთხოვნების განსაზღვრას;

დ) ხარისხის მართვის სისტემის მონიტორინგის განხორციელების წესის განსაზღვრას, წინასწარი შედეგების განხილვის, გამოვლენილი ხარვეზების აღმოფხვრისა და ხარისხის მართვის სისტემის მონიტორინგის ანგარიშის გასაჩივრების პროცედურების დადგენას;

ე) რეესტრში რეგისტრირებული აუდიტორის/აუდიტორული ფირმის ხარისხის მართვის სისტემის მონიტორინგის განხორციელებას;

ვ) ამ კანონით გათვალისწინებული სამართალდარღვევებისათვის პასუხისმგებლობის დაკისრებას;

ზ) ბუღალტერთა საერთაშორისო ფედერაციის (IFAC) მიერ დადგენილი განათლების საერთაშორისო სტანდარტების (IES) და ევროკავშირის დირექტივების მოთხოვნების შესაბამისად პროფესიული სასერტიფიკაციო განათლების, საგამოცდო პროცესისა და განგრძობითი განათლების მიმართ მოთხოვნების განსაზღვრას და შესაბამისი სტანდარტების დამტკიცებას;

თ) ამ კანონით გათვალისწინებული სტანდარტების, წესებისა და მეთოდოლოგიის განხილვასა და დამტკიცებას;

ი) სასერტიფიკაციო პროგრამების დადგენას, საგამოცდო პროცესის აღიარების წესისა და განგრძობითი განათლების პროგრამების აღიარების წესის განსაზღვრას;



კ) დადგენილი სტანდარტის შესაბამისად სასერტიფიკაციო პროგრამების, საგამოცდო პროცესისა და განგრძობითი განათლების პროგრამების აღიარებას;

ლ) პროფესიული ორგანიზაციების, სპეციალიზებული გამოცდების განმახორციელებელი ორგანოს და ამ კანონით განსაზღვრული პროფესიული განათლების საქმიანობით დაკავებული სხვა პირების მიერ ამ კანონთან და სამსახურის მიერ დადგენილ წესებთან და სტანდარტებთან შესაბამისობის მონიტორინგის განხორციელებას;

მ) რეესტრის, აღიარებული სასწავლო პროგრამებისა და განგრძობითი განათლების პროგრამების, სპეციალიზებული გამოცდების განმახორციელებელი ორგანოების, სერტიფიცირებული ბუღალტრების რეესტრებისა და ანგარიშგებების ვებგვერდის წარმოებას სამსახურის მიერ დადგენილი წესებისა და ევროკავშირის დირექტივების მოთხოვნების შესაბამისად;

ნ) წარმოდგენილი ანგარიშგებების ამ კანონით დადგენილ მოთხოვნებთან შესაბამისობას და საჯაროობას;

ო) მოკვლევის სისტემის ჩამოყალიბებას, მოკვლევის ჩატარების წესებისა და მეთოდოლოგიის შემუშავებას, საკუთარი ინიციატივით ან/და წარმოდგენილი განცხადების ან/და საჩივრის საფუძველზე აუდიტორთან/აუდიტორულ ფირმასთან დაკავშირებით მოკვლევის ინიცირებას;

პ) სამართალდარღვევათა თავიდან აცილებას და გამოვლენას;

ჟ) აღრიცხვისა და ანგარიშგების საკითხებზე მეთოდური მითითებების შემუშავებასა და დამტკიცებას;

რ) ამ კანონის რეგულირების სფეროსთვის მიკუთვნებულ საკითხებთან დაკავშირებით საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებული სხვა უფლებამოსილებების განხორციელებას.

4. სამსახური ამ კანონით გათვალისწინებული სტანდარტებისა და წესების შემუშავებისათვის პროფესიული ორგანიზაციების, პრაქტიკოსების და სხვა დაინტერესებული მხარეების მონაწილეობით ქმნის სამუშაო ჯგუფებს, რომელთა საქმიანობა რეგულირდება სამსახურის უფროსის ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტით.

5. სამსახურის მართვას, კოორდინაციასა და ხელმძღვანელობას ახორციელებს სამსახურის უფროსი. სამსახურის უფროსს საქართველოს ფინანსთა მინისტრის წარდგინებით, 5 წლის ვადით თანამდებობაზე ნიშნავს და კანონით განსაზღვრული საფუძვლის არსებობისას თანამდებობიდან ათავისუფლებს საქართველოს პრემიერ-მინისტრი. ერთი და იმავე პირის სამსახურის უფროსის თანამდებობაზე დანიშვნა შეიძლება ზედიზედ მხოლოდ ორჯერ.

6. სამსახურის უფროსის უფლებამოსილებები განისაზღვრება საქართველოს კანონმდებლობითა და სამსახურის დებულებით.

7. სამსახურის უფროსი არის საჯარო მოსამსახურე და მასზე ვრცელდება საჯარო მოსამსახურისთვის საქართველოს კანონმდებლობით განსაზღვრული მოთხოვნები, მათ შორის, ინტერესთა შეუთავსებლობის მოთხოვნები.

8. სამსახურის უფროსი უნდა იყოს არაპრაქტიკოსი და აკმაყოფილებდეს შემდეგ კრიტერიუმებს:

ა) უნდა ჰქონდეს უმაღლესი განათლება ერთ-ერთი შემდეგი სპეციალობით: ბუღალტრული აღრიცხვა, აუდიტი, ეკონომიკა, ფინანსები, საბანკო საქმე;

ბ) უნდა ჰქონდეს აუდიტის სფეროში ხელმძღვანელ თანამდებობაზე მუშაობის არანაკლებ 5-წლიანი გამოცდილება;

გ) არ უნდა იყოს ნასამართლევ ტერორიზმის დაფინანსებისათვის ან/და უკანონო შემოსავლის ლეგალიზაციისათვის ან სხვა ეკონომიკური დანაშაულისათვის, აგრეთვე სხვა მძიმე ან განსაკუთრებით მძიმე დანაშაულისათვის;



დ) სამსახურის უფროსსა და მისი ოჯახის წევრს არ აქვთ უფლება, ფლობდნენ წილებს/აქციებს, ხმის უფლებას იმ აუდიტორულ ფირმაში, რომლის საქმიანობის ზედამხედველობაც სამსახურის უფლებამოსილებას განეკუთვნება.

## 9. სამსახურის უფროსი:

ა) ხელმძღვანელობს სამსახურს; პასუხისმგებელია სამსახურისთვის საქართველოს კანონმდებლობით დაკისრებული მოვალეობების შესრულებისთვის;

ბ) თავისი კომპეტენციის ფარგლებში იღებს გადაწყვეტილებებს სამსახურის უფლებამოსილებისთვის მიკუთვნებულ საკითხებზე;

ბ<sup>1</sup>) „ფულის გათეთრებისა და ტერორიზმის დაფინანსების აღკვეთის ხელშეწყობის შესახებ“ საქართველოს კანონის მიზნებიდან გამომდინარე, სამსახურის კომპეტენციისთვის მიკუთვნებულ საკითხებთან დაკავშირებით გამოსცემს სამართლებრივ აქტებს;

გ) საქართველოს ფინანსთა მინისტრს დასამტკიცებლად წარუდგენს სამსახურის დებულების პროექტს, სტრუქტურასა და ხარჯთაღრიცხვას, საბჭოს მიერ საჩივრის განხილვის წესს, აგრეთვე მათში სათანადო ცვლილებების შეტანის შესახებ პროექტებს;

დ) სამსახურის კომპეტენციის ფარგლებში გამოსცემს ნორმატიულ აქტს – ბრძანებას;

ე) თანამდებობაზე ნიშნავს და თანამდებობიდან ათავისუფლებს სამსახურის საშტატო განრიგით გათვალისწინებულ საჯარო მოსამსახურეებს, სხვადასხვა სამართლებრივი ურთიერთობის რეგულირების მიზნით სამართლებრივი აქტით ამტკიცებს სამსახურის შინაგანაწესს, ამტკიცებს სამსახურის თანამშრომელთა საკვალიფიკაციო მოთხოვნებს;

ვ) საქართველოს ფინანსთა მინისტრს წარუდგენს სამსახურის საქმიანობის შესახებ ანგარიშს, სამსახურის საქმიანობის შესახებ ანგარიშს და სამსახურის საქმიანობასთან დაკავშირებული სამომავლო გეგმების შესახებ ინფორმაციას აქვეყნებს სამსახურის ვებგვერდზე;

ზ) ითანხმებს პროფესიული ორგანიზაციების მიერ მათ წევრ აუდიტორთა სამართალდარღვევების გამოვლენისა და დისციპლინური პასუხისმგებლობის განსაზღვრისათვის დასადგენ წესებს, ასრულებს სამსახურის დებულებითა და საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებულ სხვა ფუნქციებს.

10. სამსახურის თანამშრომელთა რიცხოვნობას სამსახურის უფროსის წარდგინებით განსაზღვრავს საქართველოს ფინანსთა მინისტრი, ხოლო სამსახურის საშტატო განრიგს ამტკიცებს სამსახურის უფროსი.

11. ამ მუხლის მე-3 პუნქტით განსაზღვრულ სტანდარტებთან, წესებთან და მეთოდოლოგიასთან და სხვა საკითხებთან დაკავშირებულ კანონქვემდებარე ნორმატიულ აქტებს სამსახური გამოსცემს საბჭოს შესაბამისი რეკომენდაციის განხილვის შემდეგ.

[საქართველოს 2017 წლის 2 ნოემბრის კანონი №1327 - ვებგვერდი, 13.11.2017წ.](#)

[საქართველოს 2019 წლის 30 ოქტომბრის კანონი №5227 - ვებგვერდი, 30.10.2019წ.](#)

[საქართველოს 2022 წლის 1 დეკემბრის კანონი №2288 - ვებგვერდი, 13.12.2022წ.](#)

## მუხლი 21. საბჭო და მისი უფლებამოსილებები

1. საბჭო არის სამსახურთან არსებული ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტთან დაკავშირებული საკითხების განმხილველი და შესაბამისი გადაწყვეტილებების მიმღები ორგანო. საბჭოს შემადგენლობა განისაზღვრება ამ კანონით. საბჭოს გადაწყვეტილებით, საბჭოში შეიძლება შეყვანილ იქნენ სამსახურის სხვა თანამშრომლები და მოწვეული პირები. ამ შემთხვევაში საბჭოში წარმოდგენილი პირები საბჭოს მიერ გადაწყვეტილების მიღების პროცესში არ მონაწილეობენ. საბჭოს უფლებამოსილებები და საქმიანობის წესი განისაზღვრება საბჭოს დებულებით, რომელიც მტკიცდება საქართველოს ფინანსთა მინისტრის ბრძანებით.

2. საბჭოს უფლებამოსილებებია:



ა) ამ კანონით განსაზღვრული კანონქვემდებარე ნორმატიული აქტების პროექტების განხილვა, დარგობრივ-პროფესიული შეფასება და შესაბამისი რეკომენდაციების 10 სამუშაო დღის ვადაში წარდგენა;

ბ) სამსახურის უფროსისთვის კანონქვემდებარე ნორმატიულ აქტებში ცვლილებების შეტანის შესახებ წინადადებების წარდგენა;

გ) სამსახურის უფროსის კანდიდატურის წარდგენასთან დაკავშირებით საქართველოს ფინანსთა მინისტრისთვის კონსულტაციის გაწევა და საბჭოს პოზიციის რეკომენდაციის სახით წარდგენა;

დ) სამსახურის მიერ ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის სფეროების შესახებ მიღებულ გადაწყვეტილებებთან, აგრეთვე „ფულის გათეთრებისა და ტერორიზმის დაფინანსების აღკვეთის ხელშეწყობის შესახებ“ საქართველოს კანონის მიზნებიდან გამომდინარე მიღებულ გადაწყვეტილებებთან დაკავშირებული საჩივრების განხილვა;

ე) ამ კანონითა და მის საფუძველზე მიღებული კანონქვემდებარე ნორმატიული აქტებით გათვალისწინებული სხვა საქმიანობის განხორციელება.

3. საბჭო შედგება 7 წევრისაგან. საბჭოს წევრი უნდა იყოს არაპრაქტიკოსი, კომპეტენტური ბუღალტრული აღრიცხვისა და ანგარიშგების, აუდიტის, ეკონომიკის, ფინანსების, ბიზნესის მართვის ან სამართლის სფეროში და ჰქონდეს შესაბამის სფეროში მუშაობის არანაკლებ 7-წლიანი გამოცდილება.

4. საბჭოს შემადგენლობაში შედის თითო წევრი სამინისტროდან, საქართველოს ეროვნული ბანკის საბჭოდან, საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროდან, საჯარო სამართლის იურიდიული პირიდან – საქართველოს დაზღვევის სახელმწიფო ზედამხედველობის სამსახურიდან, პროფესიული ორგანიზაციებიდან, ბიზნესასოციაციებიდან და აკადემიური წრეებიდან.

5. ამ მუხლის მე-4 პუნქტით გათვალისწინებულ საბჭოს წევრთა კანდიდატურები წარედგინება საქართველოს ფინანსთა მინისტრს.

6. ამ მუხლის მე-4 პუნქტით გათვალისწინებული პროფესიული ორგანიზაციებიდან, ბიზნესასოციაციებიდან და აკადემიური წრეებიდან წარდგენილ იქნება თითოეულიდან საბჭოს წევრობის 3 კანდიდატი. საქართველოს ფინანსთა მინისტრი შეარჩევს თითო კანდიდატურას პროფესიული ორგანიზაციებიდან, ბიზნესასოციაციებიდან და აკადემიური წრეებიდან. საბჭოს წევრთა კანდიდატურების შერჩევის პროცესი დამოუკიდებელი და გამჭვირვალე უნდა იყოს.

7. ამ მუხლის მე-4 პუნქტით გათვალისწინებულ საბჭოს წევრთა კანდიდატურებს საქართველოს ფინანსთა მინისტრი წარუდგენს საქართველოს პრემიერ-მინისტრს, რომელიც კანდიდატურების წარდგენიდან 2 კვირის ვადაში ამტკიცებს მათ.

8. საბჭოს ხელმძღვანელობს საბჭოს თავმჯდომარე. საბჭოს თავმჯდომარის არყოფნის შემთხვევაში, საბჭოს გადაწყვეტილებით, მის უფლებამოსილებას ახორციელებს საბჭოს რომელიმე წევრი.

9. საბჭოს წევრი არ მონაწილეობს განსახილველი საკითხის განხილვასა და გადაწყვეტაში, თუ დავის საგანთან მიმართებით ინტერესთა შეუთავსებლობა არსებობს. პირი, რომლის საქმეც იხილება, უფლებამოსილია აცილება მისცეს საბჭოს შესაბამის წევრს, თუ ეს პირი პირადადაა დაინტერესებული განსახილველი საკითხით.

10. საბჭოს არ აქვს უფლება, განახორციელოს თავისი უფლებამოსილებები, თუ საბჭოს წევრთა რაოდენობა 4-ზე ნაკლებია. ამ შემთხვევაში საბჭოს შემადგენლობა უნდა შეივსოს ამ ფაქტის დადგომიდან არაუგვიანეს 2 თვისა.

11. საბჭოს წევრობის კანდიდატი/საბჭოს წევრი არ უნდა იყოს ნასამართლევ ტერორიზმის დაფინანსებისათვის ან/და უკანონო შემოსავლის ლეგალიზაციისათვის ან სხვა ეკონომიკური



დანაშაულისათვის, აგრეთვე სხვა მძიმე ან განსაკუთრებით მძიმე დანაშაულისათვის.

12. საბჭოს წევრსა და მისი ოჯახის წევრს არ აქვთ უფლება, ფლობდნენ წილებს/აქციებს, ხმის უფლებას იმ აუდიტორულ ფირმაში, რომლის საქმიანობის ზედამხედველობაც სამსახურის უფლებამოსილებას განეკუთვნება.

13. საბჭოს წევრების უფლებამოსილების ვადაა 5 წელი.

14. საბჭოს წევრის საქმიანობა არ ანაზღაურდება.

[საქართველოს 2022 წლის 1 დეკემბრის კანონი №2288 – ვებგვერდი, 13.12.2022წ.](#)

## **მუხლი 22. სამსახურის საერთაშორისო და ადგილობრივ ორგანიზაციებთან თანამშრომლობა**

1. ამ კანონით განსაზღვრული ძირითადი პრინციპების გათვალისწინებით, ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის ზედამხედველობის ეფექტიანი განხორციელების მიზნით სამსახური თანამშრომლობს საერთაშორისო და ადგილობრივ ორგანიზაციებთან.

2. ამ მუხლის პირველი პუნქტით გათვალისწინებულ საერთაშორისო ორგანიზაციებთან თანამშრომლობის მიზანია სამსახურის მიერ ევროკავშირის დირექტივების, საერთაშორისო პრაქტიკისა და მეთოდოლოგიის დამკვიდრება და შესაბამისი გამოცდილების გაზიარება ამ სფეროში მოქმედ საერთაშორისო ორგანიზაციებთან დადებული ხელშეკრულებებისა და შეთანხმებების საფუძველზე.

3. ამ მუხლის პირველი პუნქტით გათვალისწინებულ ადგილობრივ ორგანიზაციებთან თანამშრომლობა გულისხმობს სამსახურის კოორდინირებულ მუშაობას საჯარო დაწესებულებებთან, მათ შორის, იმ საჯარო დაწესებულებებთან, რომლებიც ახორციელებენ იმ სუბიექტების რეგულირებას/ზედამხედველობას, რომელთაც საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად მოეთხოვებათ ფინანსური ანგარიშგების წარმოება ან/და საკუთარი ფინანსური ანგარიშგების აუდიტის ჩატარების უზრუნველყოფა.

4. სამსახური თანამშრომლობს პროფესიულ ორგანიზაციებთან და ამ კანონის მე-11 მუხლით განსაზღვრულ პირობებთან.

## **მუხლი 22<sup>1</sup>. სუბიექტთან/პირთან/აუდიტორთან/აუდიტორულ ფირმასთან კომუნიკაცია**

1. ამ კანონით განსაზღვრულ უფლებამოსილებათა განხორციელებისას სამსახურს უფლება აქვს, სუბიექტთან/პირთან/აუდიტორთან/აუდიტორულ ფირმასთან კომუნიკაციის მიზნით მატერიალური დოკუმენტის ან/და ელექტრონული დოკუმენტის სახით შექმნას, გაგზავნოს, შეინახოს და გასცეს ნებისმიერი დოკუმენტი, რომელსაც სამართლებრივი შედეგი შეიძლება მოჰყვეს, აგრეთვე გამოიყენოს ელექტრონული დოკუმენტბრუნვის სისტემა.

2. სამსახური ინფორმაციას/დოკუმენტს სუბიექტს/პირს/აუდიტორს/აუდიტორულ ფირმას უგზავნის ან/და წარუდგენს მატერიალური ფორმით ან/და ელექტრონული ფორმით. ინფორმაციის/დოკუმენტის გაგზავნის ფორმას ირჩევს სამსახური.

3. ერთი დოკუმენტის რამდენჯერმე ან სხვადასხვა ფორმით წარდგენის შემთხვევაში მისი წარდგენის თარიღად მიიჩნევა ამ დოკუმენტის სუბიექტისთვის/პირისთვის/აუდიტორისთვის/აუდიტორული ფირმისთვის პირველად ჩაბარების თარიღი.

4. მატერიალური ფორმით წარდგენილი დოკუმენტის სუბიექტის/პირის/აუდიტორის/აუდიტორული ფირმის მიერ ჩაუბარებლობის შემთხვევაში იგი სუბიექტს/პირს/აუდიტორს/აუდიტორულ ფირმას განმეორებით ეგზავნება.

5. ინფორმაცია/დოკუმენტი სუბიექტს/პირს/აუდიტორს/აუდიტორულ ფირმას ელექტრონული ფორმით წარედგინება ელექტრონული ფოსტის ან/და ანგარიშგების ვებგვერდის ([www.reportal.ge](http://www.reportal.ge)) მეშვეობით. ელექტრონული ფორმით გაგზავნილი ინფორმაცია/დოკუმენტი ჩაბარებულად მიიჩნევა



ადრესატის მიერ მისი გაცნობისთანავე.

6. ელექტრონული ფოსტით გაგზავნილი დოკუმენტის ჩაბარებას ადრესატი ელექტრონული საშუალებით ადასტურებს.

7. ანგარიშგების ვებგვერდის ([www.reportal.ge](http://www.reportal.ge)) მეშვეობით წარდგენილი ინფორმაცია/დოკუმენტი ჩაბარებულად მიიჩნევა ადრესატის მიერ მისი გაცნობისთანავე, რასაც იგი შესაბამისი ტექნიკური საშუალებით ადასტურებს.

8. სამსახურსა და სუბიექტს/პირს/აუდიტორს/აუდიტორულ ფირმას შორის მიმოწერის წესს ადგენს სამსახური.

[საქართველოს 2019 წლის 26 ნოემბრის კანონი №5293 – ვებგვერდი, 04.12.2019წ.](#)

## თავი VII

### პასუხისმგებლობა და დავის გადაწყვეტა

**მუხლი 23. პასუხისმგებლობა საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი მოთხოვნების დარღვევისათვის**

1. სამსახური ვალდებულია ამ კანონის, „ფულის გათეთრებისა და ტერორიზმის დაფინანსების აღკვეთის ხელშეწყობის შესახებ“ საქართველოს კანონისა და მათ საფუძველზე გამოცემული კანონქვემდებარე ნორმატიული აქტის მოთხოვნების დარღვევისათვის ერთდროულად ან/და ცალ-ცალკე, თანამიმდევრულად, ხოლო დარღვევისა და შესაძლო რისკის სერიოზულობიდან გამომდინარე – არათანამიმდევრულად, გარდა ამ კანონით გათვალისწინებული შემთხვევებისა:

ა) აუდიტორის/აუდიტორული ფირმის/გარიგების პარტნიორის მიმართ გამოიყენოს შემდეგი სანქციები:

ა.ა) წერილობითი გაფრთხილება;

ა.ბ) საჯარო გაფრთხილება (რეესტრში ასახვით);

ა.გ) ფულადი ჯარიმა;

ა.დ) აუდიტორის/აუდიტორული ფირმის შემთხვევაში – მისთვის რეგისტრაციის გაუქმება;

ა.ე) აუდიტორისათვის/აუდიტორული ფირმისათვის/გარიგების პარტნიორისათვის აუდიტის ჩატარების ან/და აუდიტორულ დასკვნაზე ხელის მოწერის და აუდიტორული ფირმის პარტნიორისათვის/აქციონერისათვის ფუნქციების შესრულების დროებით, არაუმეტეს 3 წლით აკრძალვა;

ბ) პროფესიული ორგანიზაციის მიმართ გამოიყენოს შემდეგი სანქციები:

ბ.ა) წერილობითი გაფრთხილება;

ბ.ბ) ფულადი ჯარიმა;

ბ.გ) ამ კანონის მე-11 მუხლის მე-2 და მე-3 პუნქტების საფუძველზე მინიჭებული უფლების ჩამორთმევა;

გ) სპეციალიზებული გამოცდების განმახორციელებელი ორგანოს მიმართ გამოიყენოს შემდეგი სანქციები:

გ.ა) წერილობითი გაფრთხილება;





გ.ბ) ფულადი ჯარიმა;

გ.გ) ამ კანონის მე-11 მუხლის მე-2 და მე-3 პუნქტების საფუძველზე მინიჭებული უფლების ჩამორთმევა;

დ) სდპ-ის, პირველი, მეორე, მესამე ან მეოთხე კატეგორიის საწარმოს მიმართ გამოიყენოს შემდეგი სანქციები:

დ.ა) წერილობითი გაფრთხილება;

დ.ბ) ფულადი ჯარიმა;

დ.გ) სდპ-ის შემთხვევაში – მისი მმართველობითი ორგანოს წევრისთვის სდპ-ში ამ კანონით გათვალისწინებული თავისი ფუნქციების შესრულების დროებით, არაუმეტეს 3 წლით აკრძალვა;

ე) პირის მიმართ გამოიყენოს შემდეგი სანქციები:

ე.ა) წერილობითი გაფრთხილება;

ე.ბ) ფულადი ჯარიმა.

2. ამ კანონისა და მის საფუძველზე მარეგულირებელი/საზედამხედველო ორგანოს მიერ გამოცემული სამართლებრივი აქტის მოთხოვნების დარღვევისათვის მარეგულირებელი/საზედამხედველო ორგანოს რეგულირებისადმი/ზედამხედველობისადმი დაქვემდებარებული სუბიექტის მიმართ გამოსაყენებელ სანქციებს განსაზღვრავს შესაბამისი მარეგულირებელი/საზედამხედველო ორგანო.

3. ამ კანონისა და მის საფუძველზე გამოცემული კანონქვემდებარე ნორმატიული აქტის მოთხოვნის დარღვევისათვის დაკისრებული პასუხისმგებლობა პირს არ ათავისუფლებს ამ მოთხოვნის შესრულების ვალდებულებისაგან.

4. ამ მუხლის შესაბამისად გამოყენებული სანქცია უნდა შეესაბამებოდეს დარღვევისა და შესაძლო რისკის სერიოზულობას.

5. ფულადი ჯარიმის თანხები [საქართველოს საბიუჯეტო კოდექსით](#) დადგენილი წესით მიიმართება საქართველოს სახელმწიფო ბიუჯეტში.

[საქართველოს 2019 წლის 30 ოქტომბრის კანონი №5227 – ვებგვერდი, 30.10.2019წ.](#)

## **მუხლი 24. პირისთვის/აუდიტორისთვის/აუდიტორული ფირმისთვის/გარიგების პარტნიორისთვის გათვალისწინებული პასუხისმგებლობა**

1. პირის ან აუდიტორის/აუდიტორული ფირმის/გარიგების პარტნიორის მიერ ამ კანონის, „ფულის გათეთრებისა და ტერორიზმის დაფინანსების აღკვეთის ხელშეწყობის შესახებ“ საქართველოს კანონისა და მათ საფუძველზე გამოცემული კანონქვემდებარე ნორმატიული აქტის მოთხოვნების (გარდა ამ მუხლის მე-2–მე-4 პუნქტებით გათვალისწინებული მოთხოვნებისა) დარღვევა გამოიწვევს პირის ან აუდიტორის/აუდიტორული ფირმის წერილობით გაფრთხილებას ან მისთვის 5 000 ლარამდე ოდენობის ფულადი ჯარიმის დაკისრებას. ამასთანავე, ამ პუნქტით გათვალისწინებულ შემთხვევაში სამსახური უფლებამოსილია აუდიტორს/აუდიტორულ ფირმას/გარიგების პარტნიორს დროებით, არაუმეტეს 3 წლით აუკრძალოს აუდიტორული მომსახურების განხორციელება ან/და აუდიტორულ დასკვნაზე ხელის მოწერა და აუდიტორული ფირმის პარტნიორისათვის/აქციონერისათვის აუდიტორული მომსახურების განხორციელება.

2. ამ კანონის V თავით გათვალისწინებულ აუდიტორულ მომსახურებასთან დაკავშირებული მოთხოვნების (მათ შორის, შესაბამისი საერთაშორისო სტანდარტების, ამ კანონის მე-16 მუხლით განსაზღვრული წესების, ამ კანონის მე-19 მუხლით განსაზღვრული ხარისხის მართვის სისტემის მიმართ მოთხოვნებისა და ამ მართვის მონიტორინგის განხორციელებასთან დაკავშირებული მოთხოვნების) დარღვევა გამოიწვევს აუდიტორის/აუდიტორული ფირმის ან/და შესაბამისი გარიგების



პარტნიორის დაჯარიმებას 500 ლარიდან 5 000 ლარამდე ოდენობით ან/და რეესტრიდან ამოღებას.

3. ამ კანონის IV თავით გათვალისწინებულ სარეგისტრაციო წარმოებასთან დაკავშირებული წესების დარღვევა გამოიწვევს აუდიტორისათვის/აუდიტორული ფირმისათვის რეგისტრაციის გაუქმებას ან საქმიანობის უფლების აკრძალვას ან/და პირის დაჯარიმებას 1 000 ლარამდე.

4. ამ კანონის მე-17 მუხლით გათვალისწინებული პროფესიული პასუხისმგებლობის დაზღვევის ვალდებულების შეუსრულებლობა გამოიწვევს აუდიტორის/აუდიტორული ფირმის წერილობით გაფრთხილებას. აუდიტორის/აუდიტორული ფირმის მიერ სამსახურის წერილობითი გაფრთხილების შეუსრულებლობის შემთხვევაში სამსახური უფლებამოსილია მიიღოს აუდიტორისათვის/აუდიტორული ფირმისათვის რეგისტრაციის გაუქმების თაობაზე გადაწყვეტილება.

[საქართველოს 2019 წლის 30 ოქტომბრის კანონი №5227 – ვებგვერდი, 30.10.2019წ.](#)

[საქართველოს 2022 წლის 1 დეკემბრის კანონი №2288 – ვებგვერდი, 13.12.2022წ.](#)

**მუხლი 25. პროფესიული ორგანიზაციისა და სპეციალიზებული გამოცდების განმახორციელებელი ორგანოსთვის გათვალისწინებული პასუხისმგებლობა**

1. პროფესიული ორგანიზაცია ან/და სპეციალიზებული გამოცდების განმახორციელებელი ორგანო იღებს წერილობით გაფრთხილებას, თუ იგი უარს აცხადებს სამსახურთან თანამშრომლობაზე ან განზრახ თავს არიდებს მას. ამ ქმედების განმეორების შემთხვევაში სამსახური უფლებამოსილია პროფესიულ ორგანიზაციას ან/და სპეციალიზებული გამოცდების განმახორციელებელ ორგანოს ჩამოართვას ის უფლებები, რომლებიც მას მინიჭებული აქვს ამ კანონის მე-11 მუხლით განსაზღვრული აღიარების წესით.

2. ამ კანონის მე-10 მუხლის მოთხოვნების, ასევე პროფესიული სერტიფიცირებისა და განგრძობითი განათლების განხორციელების წესების დარღვევა გამოიწვევს პროფესიული ორგანიზაციის ან/და სპეციალიზებული გამოცდების განმახორციელებელი ორგანოს დაჯარიმებას 500-დან 5 000 ლარამდე.

**მუხლი 26. სუბიექტებისთვის გათვალისწინებული პასუხისმგებლობა**

1. ამ კანონის მე-3 მუხლის მე-8 პუნქტით გათვალისწინებული ბუღალტრული აღრიცხვისა და ფინანსური ანგარიშგების წარმოებისა და კონსოლიდაციის წესების, მე-7 მუხლის, მე-8 მუხლის, მე-9 მუხლის მე-2 და მე-4 პუნქტებისა და მე-16 მუხლის მე-11 პუნქტის მოთხოვნების შეუსრულებლობა ან/და აუდიტორული შემოწმების ჩატარებისათვის თავის არიდება გამოიწვევს სუბიექტის დაჯარიმებას:

ა) მეოთხე კატეგორიის საწარმოსი – 500 ლარის ოდენობით;

ბ) მესამე კატეგორიის საწარმოსი – 1 000 ლარის ოდენობით;

გ) მეორე კატეგორიის საწარმოსი – 5 000 ლარის ოდენობით;

დ) პირველი კატეგორიის საწარმოსი და სდპ-ისა – 10 000 ლარის ოდენობით.

2. ამ მუხლის პირველი პუნქტით გათვალისწინებული სამართალდარღვევებისათვის სამსახურმა შესაძლებელია ფულადი ჯარიმის ნაცვლად წერილობითი გაფრთხილება გამოიყენოს. სამსახურის წერილობითი გაფრთხილების შეუსრულებლობის ან/და პასუხისმგებლობის დაკისრებიდან 1 თვის ვადაში შესაბამისი მოთხოვნის შეუსრულებლობის შემთხვევაში სუბიექტს უორმაგდება დაკისრებული ჯარიმის ოდენობა.

3. ამ კანონის მე-6 მუხლის პირველი პუნქტით გათვალისწინებული მოთხოვნის შეუსრულებლობის შემთხვევაში სუბიექტი ჯარიმდება ამ მუხლის პირველი პუნქტის შესაბამისად. სამსახური სუბიექტისთვის პასუხისმგებლობის დაკისრებიდან არაუგვიანეს 10 დღისა უგზავნის მას შეტყობინებას და აუდიტირებული ფინანსური ანგარიშგების წარმოსადგენად დამატებით ვადას განუსაზღვრავს. სამსახურის მიერ სუბიექტისათვის განსაზღვრული ვადა არ უნდა იყოს 1 თვეზე ნაკლები და 6 თვეზე მეტი. აღნიშნულ ვადაში სუბიექტის მიერ აუდიტირებული ფინანსური ანგარიშგების წარმოუდგენლობა გამოიწვევს მის დაჯარიმებას დაკისრებული ჯარიმის ორმაგი



ოდენობით.

4. სამსახური სუბიექტს რისკების მართვის სისტემის საფუძველზე შეისწავლის. რისკების მართვის სისტემაში არსებული და საჯარო სამართლის იურიდიული პირის – შემოსავლების სამსახურის მიერ მიწოდებული ინფორმაციის ანალიზის საფუძველზე სამსახური იღებს სუბიექტისათვის პასუხისმგებლობის დაკისრების თაობაზე გადაწყვეტილებას.

## **მუხლი 27. პასუხისმგებლობის დაკისრების წესი და დავის გადაწყვეტა**

1. სამართალდარღვევის საქმის წარმოების დაწყების საფუძველია ამ კანონით გათვალისწინებული სამართალდარღვევის გამოვლენა. ამ შემთხვევაში უფლებამოსილი პირი აღნიშნული საქმის განხილვის შედეგებზე დაყრდნობით გამოსცემს ინდივიდუალურ ადმინისტრაციულ-სამართლებრივ აქტს.

2. ამ კანონის 24-ე–26-ე მუხლებით გათვალისწინებული რომელიმე სამართალდარღვევის გამოვლენისას ინდივიდუალურ ადმინისტრაციულ-სამართლებრივ აქტს გამოსცემს სამსახურის უფროსი ან სამსახურის უფროსის მიერ განსაზღვრული პირი.

3. ამ კანონის 23-ე მუხლის მე-2 პუნქტით გათვალისწინებული სამართალდარღვევის გამოვლენისას ინდივიდუალურ ადმინისტრაციულ-სამართლებრივ აქტს გამოსცემს შესაბამისი მარეგულირებელი/საზედამხედველო ორგანო.

4. სამსახურის უფროსის ინდივიდუალურ ადმინისტრაციულ-სამართლებრივ აქტთან დაკავშირებული დავა შესაძლებელია განიხილოს საბჭომ და სასამართლომ. საჩივრის ავტორს უფლება აქვს, დავის ნებისმიერ ეტაპზე მიმართოს სასამართლოს.

5. სამსახურის გადაწყვეტილების გასაჩივრება არ აჩერებს მის მოქმედებას.

6. საბჭოს მიერ საჩივრის განხილვის წესი მტკიცდება საქართველოს ფინანსთა მინისტრის ბრძანებით.

7. ამ კანონით გათვალისწინებული ადმინისტრაციული სამართალდარღვევის საქმის წარმოება ხორციელდება საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსითა და სამსახურის მიერ დადგენილი წესით.

8. სამსახურის მიერ გამოცემული, ძალაში შესული ფულადი ჯარიმის დაკისრების შესახებ ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის ნებაყოფლობით შეუსრულებლობის შემთხვევაში მისი იძულებითი აღსრულება ხდება სამსახურის მიერ დადგენილი წესით გაცემული სააღსრულებო ფურცლის საფუძველზე, „სააღსრულებო წარმოებათა შესახებ“ საქართველოს კანონის შესაბამისად.

[საქართველოს 2019 წლის 26 ნოემბრის კანონი №5293 – ვებგვერდი, 04.12.2019წ.](#)

## **თავი VIII**

### **გარდამავალი და დასკვნითი დებულებანი**

#### **მუხლი 28. გარდამავალი დებულებანი**

1. საქართველოს ფინანსთა მინისტრმა ამ კანონის ამოქმედებიდან არაუგვიანეს 4 თვისა უზრუნველყოს:

ა) სამსახურის დებულების დამტკიცება და მის საქმიანობასთან დაკავშირებული კანონქვემდებარე ნორმატიული აქტების გამოცემა;

ბ) საბჭოს დებულების დამტკიცება და საბჭოს წევრთა კანდიდატურების საქართველოს პრემიერ-მინისტრისათვის დასამტკიცებლად წარდგენა;

გ) სამინისტროს კომპეტენციის სფეროსთვის მიკუთვნებული კანონქვემდებარე ნორმატიული აქტების ამ კანონთან შესაბამისობა;



დ) სამსახურის დაფინანსებისათვის საჭირო ღონისძიებების განხორციელება.

2. საქართველოს ფინანსთა მინისტრმა ამ კანონის ამოქმედებიდან არაუგვიანეს 2 თვისა უზრუნველყოს სამსახურის უფროსის კანდიდატურის საქართველოს პრემიერ-მინისტრისათვის წარდგენა.

3. საქართველოს პრემიერ-მინისტრმა სამსახურის უფროსის თანამდებობაზე დანიშვნა უზრუნველყოს კანდიდატურის წარდგენიდან არაუგვიანეს 2 კვირისა.

4. სამსახურმა 2016 წლის 1 ნოემბრამდე უზრუნველყოს რეესტრის წარმოება. აღნიშნულ თარიღამდე ამ კანონის ამოქმედებამდე მოქმედი საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით რეგისტრირებულ, აგრეთვე არარეგისტრირებულ, მაგრამ ამ კანონის ამოქმედებამდე მოქმედი საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად მოქმედ აუდიტორებს/აუდიტორულ ფირმებს უფლება აქვთ, აუდიტორული მომსახურება ამ კანონით განსაზღვრულ რეესტრში რეგისტრაციის გარეშე განახორციელონ. „ბუღალტრული აღრიცხვისა და ფინანსური ანგარიშგების აუდიტის შესახებ“ საქართველოს 2012 წლის 29 ივნისის კანონის (საქართველოს საკანონმდებლო მაცნე ([www.matsne.gov.ge](http://www.matsne.gov.ge)), 13.07.2012, სარეგისტრაციო კოდი: 260000000.05.001.016869) შესაბამისად აკრედიტებული ორგანიზაცია ვალდებულია სამსახურს მიაწოდოს რეესტრთან დაკავშირებული სავალდებულო და არასავალდებულო მონაცემები.

5. სამსახურმა 2017 წლის 1 იანვრამდე უზრუნველყოს ხარისხის კონტროლის სისტემის მიმართ მოთხოვნების და ამ სისტემის მონიტორინგის განხორციელების წესის განსაზღვრა.

6. სამსახურმა 2017 წლის 31 დეკემბრამდე უზრუნველყოს ამ კანონის მე-3 მუხლის მე-2 პუნქტის „ა“ და „ბ“ ქვეპუნქტებით, მე-14 მუხლის პირველი და მე-2 პუნქტებით, მე-16 მუხლის პირველი პუნქტით და მე-19 მუხლის მე-2 პუნქტით გათვალისწინებული საერთაშორისო სტანდარტების სამოქმედოდ შემოღება.

7. ის სუბიექტები, რომლებიც ამ კანონის ამოქმედებამდე ატარებდნენ აუდიტს, უფლებამოსილი არიან, აუდიტირებული ფინანსური ანგარიშგება ამ კანონის მე-9 მუხლის მე-2 პუნქტით დადგენილ ვადაში წარუდგინონ სამსახურს. სამსახურმა 2018 წლის 1 იანვრამდე უზრუნველყოს ვებგვერდის წარმოება და სუბიექტების მიერ წარმოდგენილი ანგარიშგებების გამოქვეყნება დადგენილი წესის შესაბამისად.

8. აუდიტორული და საშემფასებლო პროფესიების გამიჯვნის მიზნით საქართველოს მთავრობამ 2019 წლის 1 ივლისამდე შეიმუშაოს საშემფასებლო საქმიანობის შესახებ საკანონმდებლო აქტი. მის ამოქმედებამდე:

ა) საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს სისტემაში შემავალმა საჯარო სამართლის იურიდიულმა პირმა – აკრედიტაციის ერთიანმა ეროვნულმა ორგანომ – აკრედიტაციის ცენტრმა შემფასებელთა სერტიფიკაციის ორგანოს აკრედიტაცია და მონიტორინგი განახორციელოს აკრედიტაციის ცენტრის მიერ მიღებული წესებისა და პროცედურების შესაბამისად;

ბ) შეფასების საერთაშორისო სტანდარტების საბჭოს (IVSC) წევრმა აკრედიტებულმა შემფასებელთა სერტიფიკაციის ორგანოებმა უზრუნველყონ შეფასების საერთაშორისო სტანდარტების ქართულენოვანი ვერსიის ხელმისაწვდომობა;

გ) საშემფასებლო მომსახურების გაწევის უფლება მიეცეს მხოლოდ იმ პირს, რომელშიც დასაქმებულია აკრედიტებული შემფასებელთა სერტიფიკაციის ორგანოს მიერ სერტიფიცირებული შემფასებელი. შეფასების განხორციელების და შეფასების ანგარიშზე/დასკვნაზე ხელის მოწერის უფლება ენიჭება აკრედიტებული შემფასებელთა სერტიფიკაციის ორგანოს მიერ სერტიფიცირებულ შემფასებელს;

დ) აკრედიტაციის ცენტრის მიერ აკრედიტებულმა შემფასებელთა სერტიფიკაციის ორგანომ უზრუნველყოს სერტიფიცირებულ შემფასებელთა განათლების, მათ მიერ ეთიკური ნორმების დაცვისა და მათი საქმიანობის ხარისხის მონიტორინგი სერტიფიკაციის სქემის თანახმად.

9. აუდიტორული ფირმა, რომელსაც ამ კანონის ამოქმედების თარიღისთვის ჰქონდა სავალდებულო აუდიტის ჩატარების უფლებამოსილება, რაც დასტურდება „ბუღალტრული აღრიცხვისა და ფინანსური



[ანგარიშგების აუდიტის შესახებ](#) საქართველოს 2012 წლის 29 ივნისის კანონის (საქართველოს საკანონმდებლო მაცნე ([www.matsne.gov.ge](http://www.matsne.gov.ge)), 13.07.2012, სარეგისტრაციო კოდი: 260000000.05.001.016869) შესაბამისად აკრედიტებული ორგანიზაციის სავალდებულო აუდიტის ჩატარების უფლების მქონე პირთა რეესტრით, ან რომელმაც 2013 წლის 1 იანვრიდან ამ კანონის ამოქმედებამდე ჩაატარა სავალდებულო აუდიტი ან 2016 წლის 1 ნოემბრამდე ჩაატარა სდპ-ის ფინანსური ანგარიშგების აუდიტი, უფლებამოსილია სამსახურს არაუგვიანეს 2016 წლის 30 ნოემბრისა მიმართოს სდპ-ის აუდიტის ჩატარების დროებითი უფლებამოსილების მინიჭების თხოვნით. დროებითი უფლებამოსილების მინიჭების წესს ადგენს სამსახური. მინიჭებული დროებითი უფლებამოსილება მოქმედებს ხარისხის კონტროლის სისტემის მონიტორინგის შედეგების გამოვლენამდე. აღნიშნული უფლებამოსილების მინიჭების საფუძველია აუდიტორული ფირმის სარეგისტრაციო განაცხადში მოცემული ინფორმაცია ხარისხის კონტროლის სისტემის შესახებ, სამსახურის მოთხოვნის შესაბამისად აუდიტორული ფირმის მიერ წარდგენილი სხვა ინფორმაცია/დოკუმენტაცია და, საჭიროების შემთხვევაში, იმ მარეგულირებელი/საზედამხებდველო ორგანოს მიერ მოწოდებული ინფორმაცია, რომელსაც ჰპარდებოდა აუდიტორული დასკვნა/ანგარიში. სდპ-ის აუდიტის ჩატარების დროებითი უფლებამოსილების მინიჭება ხდება 2016 წლის 31 დეკემბრამდე და მოქმედებს არაუგვიანეს 2017 წლის 31 დეკემბრისა. სამსახური ვალდებულია დაასრულოს აღნიშნული უფლებამოსილების მქონე იმ აუდიტორული ფირმის ხარისხის კონტროლის სისტემის მონიტორინგი, რომელმაც მას ხარისხის კონტროლის სისტემის მონიტორინგის განხორციელების მოთხოვნით მიმართა, და შესაბამისი შედეგები რეესტრში 2018 წლის 1 იანვრამდე ასახოს. სდპ-ის აუდიტის ჩატარების დროებითი უფლებამოსილება უქმდება, თუ აღნიშნული უფლებამოსილების მქონე პირი 2017 წლის 1 ოქტომბრამდე არ მიმართავს სამსახურს ხარისხის კონტროლის სისტემის მონიტორინგის განხორციელების მოთხოვნით. ამასთანავე, იმ ხელშეკრულებით, რომლის მხარეც არის ქონების მმართველი, განსაზღვრული ვალდებულებების შესრულების დადასტურებასთან დაკავშირებული აუდიტორული მომსახურების განხორციელების უფლებამოსილება 2018 წლის 1 იანვრამდე აქვთ [„საწარმოებისათვის აუდიტირებული ფინანსური ანგარიშგების განმახორციელებელ ან/და საექსპერტო და აუდიტორული დასკვნების გამცემ პირთა და სახელმწიფო საწარმოთა ნუსხის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2012 წლის 5 სექტემბრის №360 დადგენილებით](#) დამტკიცებულ „საწარმოებისათვის აუდიტირებული ფინანსური ანგარიშგების განმახორციელებელ ან/და საექსპერტო და აუდიტორული დასკვნების გამცემ პირთა ნუსხაში“ მითითებულ აუდიტორულ ფირმებს, რომლებსაც ამ მუხლის საფუძველზე მიენიჭებათ დროებითი უფლებამოსილება. ამასთანავე, აღნიშნული დადგენილებით დამტკიცებულ „საწარმოებისათვის აუდიტირებული ფინანსური ანგარიშგების განმახორციელებელ ან/და საექსპერტო და აუდიტორული დასკვნების გამცემ პირთა ნუსხაში“ მითითებულ პირებს იმ ხელშეკრულებით, რომლის მხარეც არის ქონების მმართველი, განსაზღვრული ვალდებულებების შესრულების დადასტურებასთან დაკავშირებული აუდიტორული მომსახურების განხორციელების უფლებამოსილება უნარჩუნდებათ ამ კანონის ამოქმედების თარიღისთვის დადებული ხელშეკრულებით გათვალისწინებული აუდიტორული მომსახურების დასრულებამდე, ხოლო ამ კანონის ამოქმედების შემდეგ 2017 წლის 1 იანვრამდე დადებული ხელშეკრულებით გათვალისწინებული აუდიტორული მომსახურების განხორციელების უფლებამოსილება – 2017 წლის 1 მარტამდე. ამასთანავე, ამ პუნქტით გათვალისწინებულმა აუდიტორულმა ფირმებმა სდპ-ებისათვის შეასრულონ 2016 წლის 1 ნოემბრამდე დადებული ფინანსური ანგარიშგების აუდიტის ხელშეკრულებებით 2016 წლის საანგარიშგებო ან წინა პერიოდთან მიმართებით ნაკისრი ვალდებულებები.

10. სამსახურმა 2016 წლის 1 ნოემბრამდე უზრუნველყოს ამ მუხლის მე-9 პუნქტით განსაზღვრული დროებითი უფლებამოსილების მინიჭების წესის დადგენა. 2017 წლის 1 იანვრიდან გაუქმდეს [„საწარმოებისათვის აუდიტირებული ფინანსური ანგარიშგების განმახორციელებელ ან/და საექსპერტო და აუდიტორული დასკვნების გამცემ პირთა და სახელმწიფო საწარმოთა ნუსხის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2012 წლის 5 სექტემბრის №360 დადგენილება.](#)

11. ამ კანონის მე-3 მუხლის მე-6 პუნქტით გათვალისწინებული ფინანსური ანგარიშგების სტანდარტების სამოქმედოდ შემოღებამდე მეოთხე კატეგორიის საწარმომ იხელმძღვანელოს [„მცირე საწარმოთა ბუღალტრული აღრიცხვის გამარტივებული \(დროებითი\) სტანდარტის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს პარლამენტთან არსებული ბუღალტრული აღრიცხვის სტანდარტების კომისიის 2005 წლის 5 აპრილის №9 დადგენილებით დამტკიცებული დროებითი სტანდარტით](#), ხოლო არასამეწარმეო (არაკომერციულმა) იურიდიულმა პირმა – [„არასამეწარმეო \(არაკომერციული\) იურიდიული პირების ბუღალტრული აღრიცხვის დროებითი სტანდარტისა და ბუღალტრული](#)



აღრიცხვის ანგარიშთა გეგმის სტრუქტურის დამტკიცების შესახებ საქართველოს პარლამენტთან არსებული ბუღალტრული აღრიცხვის სტანდარტების კომისიის 2005 წლის 5 აპრილის №10 დადგენილებით. სამსახურმა ამ პუნქტით განსაზღვრული სტანდარტები დაადგინოს 2018 წლის 1 ივლისამდე.

12. სდპ-მა და პირველი და მეორე კატეგორიების საწარმოებმა ამ კანონის მე-9 მუხლის მოთხოვნები შეასრულონ 2017 წლის 31 დეკემბრით დასრულებული საანგარიშგებო პერიოდისთვის და შემდგომ პერიოდებში, ხოლო თუ სუბიექტის საანგარიშგებო პერიოდი არ ემთხვევა კალენდარულ წელს – იმ საანგარიშგებო პერიოდისთვის, რომელიც 2017 წლის 31 დეკემბრის შემდგომი თარიღისთვის სრულდება. მესამე კატეგორიის საწარმოებმა ამ კანონის მე-9 მუხლის მოთხოვნები შეასრულონ 2018 წლის 31 დეკემბრით დასრულებული საანგარიშგებო პერიოდისთვის და შემდგომ პერიოდებში, ხოლო თუ სუბიექტის საანგარიშგებო პერიოდი არ ემთხვევა კალენდარულ წელს – იმ საანგარიშგებო პერიოდისთვის, რომელიც 2018 წლის 31 დეკემბრის შემდგომი თარიღისთვის სრულდება, და შემდგომ პერიოდებში. მეოთხე კატეგორიის საწარმოებმა ამ კანონის მე-9 მუხლის მოთხოვნები შეასრულონ 2020 წლის 31 დეკემბრით დასრულებული საანგარიშგებო პერიოდისთვის და შემდგომ პერიოდებში, ხოლო თუ სუბიექტის საანგარიშგებო პერიოდი არ ემთხვევა კალენდარულ წელს – იმ საანგარიშგებო პერიოდისთვის, რომელიც 2020 წლის 31 დეკემბრის შემდგომი თარიღისთვის სრულდება, და შემდგომ პერიოდებში. მესამე და მეოთხე კატეგორიების საწარმოები უფლებამოსილი არიან, უზრუნველყონ ანგარიშგების იმ საანგარიშგებო პერიოდისთვის წარდგენა, რომლისთვისაც ეს ამ კანონით არ ევალებათ. ამ პუნქტით გათვალისწინებული გამონაკლისი არ ვრცელდება იმ სუბიექტზე, რომელიც „ბუღალტრული აღრიცხვისა და ფინანსური ანგარიშგების აუდიტის შესახებ“ საქართველოს 2012 წლის 29 ივნისის კანონის (საქართველოს საკანონმდებლო მაცნე ([www.matsne.gov.ge](http://www.matsne.gov.ge)), 13.07.2012, სარეგისტრაციო კოდი: 260000000.05.001.016869) შესაბამისად სავალდებულო აუდიტს ექვემდებარება.

13. საქართველოს პარლამენტთან არსებული აუდიტორული საქმიანობის საბჭოს მიერ გაცემული აუდიტორის სერტიფიკატის მფლობელი, რომლის სერტიფიკატი ძალაშია 2013 წლის 1 იანვრისათვის, და ამ კანონის ამოქმედების თარიღისთვის აკრედიტებული ორგანიზაციის მიერ გაცემული პროფესიონალი ბუღალტრის სერტიფიკატის მფლობელი ითვლებიან სერტიფიცირებულ ბუღალტრებად. ამ პუნქტით გათვალისწინებულ პირს ამ კანონის მე-13 მუხლის მე-4 პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტით განსაზღვრული პირობა დაკმაყოფილებულად ეთვლება, თუ იგი ამ კანონის ამოქმედებამდე აუდიტორულ მომსახურებას დამოუკიდებლად, აუდიტორული ფირმის სახელით, აუდიტორის ან გარიგების პარტნიორის სტატუსით ახორციელებდა, რაც წერილობით დასტურდება.

14. იმ პირს, რომელიც ამ კანონის ამოქმედებამდე არანაკლებ 7 წლის განმავლობაში ასრულებდა გარიგების პარტნიორის უფლებამოსილებას და ამ კანონის შესაბამისად არ არის სერტიფიცირებული ბუღალტერი, სერტიფიცირებული ბუღალტრის სტატუსი ენიჭება სამსახურისთვის წარდგენილი, აუდიტორული მომსახურების განხორციელების დამადასტურებელი დოკუმენტაციის საფუძველზე. რეესტრში რეგისტრაციით დაინტერესების შემთხვევაში აღნიშნულ პირს ამ კანონის მე-13 მუხლის მე-4 პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტით განსაზღვრული პირობა დაკმაყოფილებულად ჩაეთვლება. ამ პუნქტის მიზნებისთვის სერტიფიცირებული ბუღალტრის სტატუსის მინიჭების წესს განსაზღვრავს სამსახური.

15. სამსახურმა ხარისხის კონტროლის სისტემის მონიტორინგის განხორციელება 2017 წლის 1 სექტემბრამდე უზრუნველყოს მხოლოდ აუდიტორის/აუდიტორული ფირმის მიმართვის საფუძველზე, ხოლო 2017 წლის 1 სექტემბრიდან – სავალდებულო წესით.

16. 2016 წლის 1 ივნისიდან სამსახურის მიერ ამ მუხლის მე-6 პუნქტით განსაზღვრული საერთაშორისო სტანდარტების სამოქმედოდ შემოღებამდე გამოიყენება ბუღალტერთა საერთაშორისო ფედერაციის (IFAC) წევრი ორგანიზაციის მიერ სახელმწიფო ენაზე თარგმნილი და გამოცემული:

- ა) ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტები (IFRS);
- ბ) მცირე და საშუალო საწარმოების ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტები (IFRS for SMEs);
- გ) აუდიტის საერთაშორისო სტანდარტების (ISA) და ბუღალტერთა საერთაშორისო ფედერაციის (IFAC) მიერ დადგენილი პროფესიული ეთიკის კოდექსის (IESBA code) ბოლო ვერსიები;



დ) ხარისხის კონტროლის საერთაშორისო სტანდარტების (ISQC) და აუდიტისა და მარწმუნებელი მომსახურების საერთაშორისო საბჭოს (IAASB) მიერ მიღებული და დამტკიცებული მიმოხილვისა და დაკავშირებული მომსახურების, აგრეთვე სხვა მარწმუნებელი გარიგების საერთაშორისო სტანდარტები.

17. საქართველოს პარლამენტთან არსებული აუდიტორული საქმიანობის საბჭოს კოლეგიის და საქართველოს პარლამენტთან არსებული ბუღალტრული აღრიცხვის სტანდარტების კომისიის დადგენილებებით დამტკიცებული, აგრეთვე ბუღალტრული აღრიცხვისა და აუდიტის სფეროში 2013 წლის 1 იანვრისათვის მოქმედი ნორმატიული აქტები მოქმედებს ამ კანონით გათვალისწინებული შესაბამისი სტანდარტებისა და წესების გამოყენების ვალდებულების ამოქმედებამდე. საქართველოს პარლამენტთან არსებული ბუღალტრული აღრიცხვის სტანდარტების კომისიის დადგენილებებით დამტკიცებულ ბუღალტრული აღრიცხვის ანგარიშთა გეგმებს და მათი გამოყენების წესებს მარეგულირებელი/საზედამხედველო ორგანოს რეგულირებისადმი/ზედამხედველობისადმი დაქვემდებარებული სფეროებისთვის ადგენს/ცვლის შესაბამისი მარეგულირებელი/საზედამხედველო ორგანო, ხოლო იმ სფეროებისთვის, რომლებიც რეგულირებას/ზედამხედველობას არ ექვემდებარება, – სამსახური.

18. სამსახური არის საქართველოს პარლამენტთან არსებული აუდიტორული საქმიანობის საბჭოს სამართალმემკვიდრე.

19. ამ კანონის 21-ე მუხლის პირველი პუნქტით გათვალისწინებულ შემთხვევაში საბჭოს დაკომპლექტებიდან არაუგვიანეს 1 თვისა, პროფესიული ორგანიზაციების წარდგინებით, საბჭოს გადაწყვეტილებით, 2018 წლის 1 იანვრამდე საბჭოში მოწვეული უნდა იქნეს 2 პრაქტიკოსი.

20. საქართველოს მთავრობამ 2017 წლის 1 იანვრამდე უზრუნველყოს შესაბამისი სამართლებრივი აქტების ამ კანონთან შესაბამისობა.

21. პროფესიული ორგანიზაციები უფლებამოსილი არიან, ამ კანონის 21-ე მუხლის მე-6 პუნქტის შესაბამისად, ერთჯერადად, საბჭოს პირველად დაკომპლექტების მიზნით სამინისტროს წარუდგინონ საბჭოს წევრის 2 კანდიდატურა, რომლებიც არ აკმაყოფილებენ ამ კანონის მე-2 მუხლის პირველი პუნქტის „შ“ ქვეპუნქტის მოთხოვნას. ამ პუნქტით გათვალისწინებული კანდიდატურის საბჭოს წევრად არჩევის შემთხვევაში საბჭოს აღნიშნული წევრის უფლებამოსილების ვადაა 1 წელი.

22. ფიზიკური ან იურიდიული პირი, რომელიც პროფესიული მომსახურების ფარგლებში აწარმოებს ბუღალტრულ აღრიცხვას ან/და ამზადებს ფინანსურ ანგარიშგებას, ვალდებულია არაუგვიანეს 2023 წლის 1 ივლისისა დარეგისტრირდეს შესაბამის რეესტრში.

[საქართველოს 2017 წლის 14 დეკემბრის კანონი №1734 – ვებგვერდი, 25.12.2017წ.](#)

[საქართველოს 2018 წლის 22 დეკემბრის კანონი №4109 – ვებგვერდი, 25.12.2018წ.](#)

[საქართველოს 2019 წლის 19 მარტის კანონი №4348 – ვებგვერდი, 27.03.2019წ.](#)

[საქართველოს 2019 წლის 26 ნოემბრის კანონი №5301 – ვებგვერდი, 04.12.2019წ.](#)

[საქართველოს 2022 წლის 1 დეკემბრის კანონი №2288 – ვებგვერდი, 13.12.2022წ.](#)

**მუხლი 29.** ამ კანონის ამოქმედებასთან დაკავშირებით ძალადაკარგულად გამოცხადებული ნორმატიული აქტი

ამ კანონის ამოქმედებისთანავე ძალადაკარგულად გამოცხადდეს [„ბუღალტრული აღრიცხვისა და ფინანსური ანგარიშგების აუდიტის შესახებ“ საქართველოს 2012 წლის 29 ივნისის კანონი](#) (საქართველოს საკანონმდებლო მაცნე ([www.matsne.gov.ge](http://www.matsne.gov.ge)), 13.07.2012, სარეგისტრაციო კოდი: 260000000.05.001.016869).

**მუხლი 30.** კანონის მოქმედება

1. ეს კანონი, გარდა ამ კანონის მე-5 მუხლის მე-6 პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტისა, მე-7 მუხლისა, მე-8 მუხლისა, მე-13 მუხლის მე-5 პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტისა და 26-ე მუხლის პირველი პუნქტისა, ამოქმედდეს გამოქვეყნებისთანავე.

2. ამ კანონის მე-5 მუხლის მე-6 პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტი, მე-7 მუხლი, მე-8 მუხლი, მე-13 მუხლის მე-5



პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტი და 26-ე მუხლის პირველი პუნქტის „გ“ და „დ“ ქვეპუნქტები ამოქმედდეს 2018 წლის 1 იანვრიდან.

3. ამ კანონის 26-ე მუხლის პირველი პუნქტის „ა“ და „ბ“ ქვეპუნქტები ამოქმედდეს 2019 წლის 1 იანვრიდან.

4. ამ კანონის 28-ე მუხლის მე-16 პუნქტის მოქმედება გავრცელდეს 2016 წლის 1 ივნისიდან წარმოშობილ სამართლებრივ ურთიერთობებზე.

საქართველოს პრეზიდენტი

გიორგი მარგველაშვილი

ქუთაისი,

8 ივნისი 2016 წ.

N5386-III

